MES 4 21 0000021058

22/01/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.12.2020
სხდომის დაწყების დრო: 15:14 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:53სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (III, IV საკითხი);
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (I, II საკითხი);
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ანა გვრიტიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ხათუნა თოდაძე	სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი	I
2	სოფიო ბახტაძე		ვიცე-რექტორი	I
3	ირინე კვაჭაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
4	გივი ჯავაშვილი		მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	ნინო ვეფხვაძე		სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის უფროსი	I
6	ვახტანგ ლეჟავა		რექტორი	II, III
7	ნათია სამუშია		პრორექტორი	II, III
8	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	II, III
9	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	II, III
10	მარიამ გაბუნია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	II, III
11	თამუნა გეგეშიძე			II, III

			აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	
12	შაკო თავაძე	თავისუფალი და აგრარული უნივერისტეტი	სტუდენტების დეკანი	II, III
13	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	II, III
14	მარიამ ჯაფარიძე		საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	II, III
15	ზაზა მეტრეველი		საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	II
16	მამუკა ბენაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
17	ვაჟა ბერეჟიანი		ფიზიკის სკოლის დეკანი	III
18	ზაზა ოსმანოვი		ფიზიკის სკოლის კოორდინატორი	III
19	მარინა ქორიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	IV
20	სოფიო ბერიძე		ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	IV
21	ეთერი ჯაყელი		ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასისტენტ პროფესორი	IV
22	თეა ქოიავა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, ასისტენტ პროფესორი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ეკა აბჟანდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მარიამ აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მანანა მოისწრაფიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიორგი ჯაფარიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ცოტნე ცაავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	რევაზ შანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	დავით ნიშნიანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

10	გიორგი მეშველიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ნათია კვიჟინაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ვახტანგ თებიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ზურაბ ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:14 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას
უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

1. პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		№138 21.10. 2011

	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
11	განხორციელების ადგილი	ვაჟა–ფშაველას გამზირი, 33, თბილისი, 0177 (0186), საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს - გაიანე სიმონიამ და ეკა ეკალაძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირინე ფხაკაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 21 და 22 ოქტომბერს, რომლის მიზანი იყო „მედიცინის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე), ხათუნა საგანელიძე, ეკა აბჟანდაძე, მარიამ აბულაძე. ვიზიტი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, გარდა ამისა ჩატარდა შეხვედრები: პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და წარმომადგენელებთან, პროგრამის განვითარების ჯგუფთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან. ექსპერტთა

ჯგუფმა განიხილა სადოქტორო ნაშრომები, დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი. დღის ბოლოს შეჯამდა ექსპერტთა პოზიციები და ძირითადი მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

„მედიცინის“ სადოქტორო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წელს და მას შემდეგ ხორციელდებოდა, თუმცა მრავალწლიანი ტრადიციები და გამოცდილება უძღოდა წინ აღნიშნული პროგრამის განხორციელებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში; განმახორციელებელი გუნდის მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული, როგორც საკუთარი გამოცდილება, ასევე შიდა და გარე შეფასების დროს მიღებული რჩევები და რეკომენდაციები, ინსტიტუციური შეფასების ფარგლებში არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებული რეკომენდაციები და წარდგენილი იქნა პროგრამის საბოლოო ვერსია. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოაღნიშნული შემფასებლების მიერ დაწერილ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომელთა უდიდესი ნაწილი იყო სამეცნიერო დამოუკიდებლობისა და კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციისა და კვლევითი კომპონენტის დაფინანსების პროცედურის შემუშავების შესახებ, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა იხილა რეალური შედეგი, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დანერგილია ფინანსური წახალისების წესი, რაც გულისხმობს 35 წლამდე ახალგაზრდა მკვლევარების დაფინანსებას ყოველწლიურად 20 ათასი ლარის ოდენობით, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა დოქტორანტების მოზიდვას

„მედიცინის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფს გაცემული აქვს ორი რეკომენდაცია 2.3 ქვესტანდარტთან, თუმცა რადგან მხოლოდ ერთ ქვესტანდარტს ეხებოდა აღნიშნული რეკომენდაციები სტანდარტი, როგორც სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ სილაბუსის თემატიკის გადახედვა და პროგრამის შედეგებთან თანხვედრაში მოყვანა.

2. სასურველია სასწავლო კურსის „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და ბიოსტატისტიკა“ მიზნის მოდიფიცირება.

მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა გაწერა რჩევებიც, რომლებიც დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში ფაქტობრივად გაითვალისწინა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ირინე კვაჭაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და საბჭოს წევრებს. მან განაცხადა, რომ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სრულ განმარტებას პროგრამის ხელმძღვანელი გივი ჯაბაშვილი გააკეთებდა. მან დაადასტურა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პოზიცია, რომ ყველა რჩევა, თვისობრივად ორ ნაწილად

იყოფა: 1. კურიკულუმზე დაფიქრებაზე მიმართული რჩევაა, რაც ყველა ნორმალური, კარგი, ცოცხალი პროგრამის სიცოცხლის ციკლის ნაწილია მუდმივი ზრუნვა კურიკულუმზე, რასაც დაწესებულება რა თქმა უნდა გაითვალისწინებს; 2. დოქტორანტების/პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, მათი დატრენინგებისა და კომუნიკაციის დიაპაზონის ინტენსივობის გაზრდასთან დაკავშირებული რჩევაა, რაც სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გენერალურ სტრატეგიასთან არის სინქრონიზებული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება რჩევებს იღებს, ეტაპობრივად, დაფიქრებით გათვალისწინების პირობით, რეკომენდაციებზე სასაუბროდ კი სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, გივი ჯაბაშვილს.

პროგრამის ხელმძღვანელი, გივი ჯაბაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის პროცესი იყო სასარგებლო, კონსტრუქციული და კეთილგანწყობილი, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, ეს პროცესი წაადგა პროგრამას და შეცვალა უკეთესობისკენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არის ძალიან საინტერესო, წლების განმავლობაში უნივერსიტეტში არის ტრადიცია: სადოქტორო პროგრამებში ისწავლება ფსიქოლოგია პედაგოგიკის ფარგლებში, რასაც კავშირი აქვს პროგრამის ერთ-ერთ შედეგთან - პროფესიონალიზმთან, რომლის შემადგენელი ნაწილია მედიკოსის, მკვლევარის, მასწავლებლის გაზრდა, დაწესებულების ხედვის თანახმად, პროფესიონალის ერთ-ერთი საკვანძო თვისება - პაციენტზე ორიენტირებული მიდგომაა, პიროვნების ფაქტორის გათვალისწინება სწავლებას, კვლევასა თუ კლინიკურ საქმიანობაში, ცნობილი მედიკოსი ულიამ ოსლერი ამბობდა „კარგი ექიმი მკურნალობს დაავადებას, ხოლო გამორჩეული ექიმი მკურნალობს პაციენტს, რომელსაც დაავადება აქვს“. მისი თქმით, სამწუხაროა, რომ ფსიქოლოგიის ცოდნა არ არის მედიცინის შემადგენელი ნაწილი და რადგან დაწესებულებას ჰქონდა ზემოაღნიშნული ტრადიცია, დაწესებულების წარმომადგენლებმა შეამცირეს პროგრამა, რომელიც სრულიად შეიცვალა 2011 წლის პროგრამასთან შედარებით, პედაგოგიკის ნაწილი არის ძირითადი, თუმცა სხვა პროგრამებისგან განსხვავებით მეტი დრო დაუთმეს ფსიქოლოგიის ნაწილს. მან განაცხადა, რომ ამ საკითხზე შესაძლებელია მსჯელობა და დაწესებულების წარმომადგენლები აუცილებლად იმსჯელებენ. მან აღნიშნა, რომ უბრალოდ განმარტა რატომ ენანება აღნიშნული კურსების დათმობა, ტრადიციების, მიზნების, პროფესიონალიზმის თანამედროვე განმარტების გათვალისწინებით სამედიცინო კონტექსტში.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საუბარია მიზნის მოდიფიცირებაზე და თუ შეხედავენ პროგრამის შინაარსს/შედეგებს, ის სრულად შეესაბამება აღნიშნულ სასწავლო პროგრამას, თუმცა უნდა შეიცვალოს კვლევის მიზანი, წერია „კლინიკური“ და უნდა ეწეროს „ბიოსამედიცინო კვლევა“, რადგან შინაარსი/შედეგები არის უფრო ფართო და შეესაბამება ბიოსამედიცინო კვლევას, ტექნიკური ხარვეზია და გულდასაწყვეტია, რომ აღნიშნული საკითხი მოხვდა რეკომენდაციაში, თვითონ შინაარსის/შედეგების მხრივ, სასწავლო კურსი, თავიდან ბოლომდე ეხება ისეთ ფართო სფეროს, როგორიცაა - ბიოსამედიცინო კვლევა, სიტყვა „კლინიკური“ ამცირებდა/ავიწროვებდა მას, შესაბამისად რეკომენდაცია გასათვალისწინებელია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, თამარ ტუფინაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამაში წარდგენილი სამი „სადოქტორო კურსი (1, 2, 3)“ სილაბუსი, რასაც ეთმობა 15 კრედიტი, ნიმუშის სახით არის და სამივე კურსის მიზანი მსგავსია, იგი დაინტერესდა სასწავლო კურსი ნიმუშების მიხედვით წარიმართება, თუ ემსახურება პედაგოგის უნარ-ჩვევების/მოზრდილთა სწავლების უნარის განვითარებას, თუ შესაძლებელია სხვა მიზანსაც მოიაზრებდეს. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ რამდენად არის სადოქტორო პროგრამაში „მტკიცებითი მედიცინის“ სასწავლო კურსი კვლევისთვის

რელევანტური და რამდენად არის დოქტორანტებისთვის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 11 ქულა რელევანტური.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გივი ჯაბაშვილმა განმარტა, რომ სადოქტორო კურსებს აქვს ორი ძირითადი მიზანი: თანამედროვე ხედვის მქონე მკვლევარის/მედიკოსის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო დონეზე აქტუალური სამედიცინო საკითხების აღმოჩენა/კვლევის დაგეგმვა/წარმოება და მას უნდა ჰქონდეს თავისი დარგის სისტემური ხედვა, აღნიშნული მედიცინის პროგრამა ძალიან ფართოა, სპეციალობების რაოდენობა არის ძალიან დიდი, მაგ., ენდოკრინოლოგია, რეპროდუქტოლოგია და ა.შ. ამიტომ განსახილველი სადოქტორო კურსი, რომლის მიზანია თავის სპეციალობაში სისტემური ხედვის ჩამოყალიბება ვერ იქნებოდა ძალიან კონკრეტული, რადგან ყველა პროგრამის მიხედვით იცვლება, დაწესებულების წარმომადგენლებმა მოამზადეს მხოლოდ ჩარჩო „სადოქტორო კურსის (1, 2, 3)“ და მისი მიზანია: 1. თავისი დარგის სემინარებია გათვალისწინებული, რომელსაც ხელმძღვანელი აძლევს, ეტაპობრივად ავითარებს პირველი, მეორე, მესამე კურსის ფარგლებში და ადამიანს უყალიბდება სისტემური ხედვა/შეხედულება, იცნობს თავის სპეციალობაში მიმდინარე პრიორიტეტულ კვლევებს, იცის რა პრობლემები დგას მის სპეციალობაში და როდესაც იგი გახდება დოქტორი მას უნდა ჰქონდეს თავისი ღრმა ცოდნა, განცდა და კრიტიკული ხედვა; 2. პედაგოგიკა, სადაც იცვლება საათები, მისი მონაწილეობისა და ექსპერტიზის დონე, თანდათან ყალიბდება მკვლევართან ერთად პედაგოგადაც, აღნიშნული საკითხი გამომდინარეობს იქიდან, რომ შრომის ბაზრის კვლევასა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის, მათთან მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ კურსდამთავრებულების ერთ-ერთი დასაქმების სფერო არის აკადემიური სფერო, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნული ნაწილი განავითარეს პროგრამაში.
„მტკიცებით მედიცინასთან“ დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგანი დიპლომამდელ დონეზე - „დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამაში არის გაწერილი, თუმცა სადოქტორო საფეხურზე არის მტკიცებულებების კიდევ უფრო მაღალი დონე, შესაბამისად ეს არ არის სავალდებულო სასწავლო კურსი, იგი არჩევითია. მან აღნიშნა, რომ თუ წინა პროგრამაში საერთოდ არ იყო არჩევით სასწავლო კურსები, ახალ პროგრამაში მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია, ერთ-ერთი მათგანი არის „მტკიცებითი მედიცინა“, ეს საკითხი წამოიჭრა დოქტორანტებთან საუბრისას და მათთვის ერთ-ერთი საინტერესო თემა იყო, განსწავლა და მუშაობა აღნიშნულ საკითხებზე, ვინაიდან დარგი არის მუდმივად განვითარებადი და მისი მეთოდებიც სრულიად ახალია, თუნდაც მიმდინარე, პანდემიური პროცესი, მტკიცებულებების ჩამოყალიბების სისწრაფე, მისი ხარისხის შეფასება ყოველდღიურად/ყოველწლიურად იცვლება, მიმდინარე წელსაც შეიცვალა, დრამატულად, ასე, რომ მზარდი, განვითარებადი სფეროა, რომელიც შესაძლებელია საინტერესო იყოს დოქტორანტებისათვის, დაწესებულება გეგმავდა სტუდენტების აზრის გათვალისწინებას.
მინიმალურ ზღვართან დაკავშირებით ვიცე-რექტორის, ხათუნა თოდაძის თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებსაც დიდი ხანი მიაჩნდათ, რომ 11 ქულა, როგორც ზღვარი, იყო ძალიან მცირე და მიმდინარე წლის 6 ნოემბერს მიიღეს შესწორება სწავლის შეფასების წესში და მინიმალური ზღვრად დაისახა 27 ქულა, შესაბამისად საბჭოს წევრის მიერ დასმული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებსაც წლების განმავლობაში აწუხებდათ აღნიშნული საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:33
დასრულების დრო: 15:47
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ სილაბუსის თემატიკის გადახედვა და პროგრამის შედეგებთან თანხვედრაში მოყვანა;

2. სასურველია სასწავლო კურსის „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და ბიოსტატისტიკა“ მიზნის მოდიფიცირება;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2. მეორე საკითხი: ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№273 11.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 კრედიტი
11	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240, თბილისი 0159, საქართველო

12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკური ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამა, ვიზიტი განხორციელდა 27 და 28 ოქტომბერს, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში მანანა მოისწრაფიშვილთან (თავმჯდომარე) ერთად იყვნენ, გიორგი ჯაფარიძე (დარგის ექსპერტი), ცოტნე ცაავა (სტუდენტი-ექსპერტი).
ექსპერტთა ჯგუფმა 27 ოქტომბერს ადგილზე შეისწავლა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა, 28 ოქტომბერს კი დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა ვიზიტი, 26 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ და განიხილეს ბუნდოვანი/გამოსაკვლევი საკითხები, ჩამოაყალიბეს კითხვები და შემდეგ 28 ოქტომბერს დისტანციურ რეჟიმში შეხვდნენ დაწესებულების წარმომადგენლებს.
„მექანიკური ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან და წარდგენილი იყო რეაკრედიტაციაზეა წარდგენილი, პროგრამის კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს, ისწავლება 4 წლის (8 სემესტრის) განმავლობაში: საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 50 კრედიტი, ინჟინერიის ზოგადი განათლება - 44 კრედიტი, მექანიკის ინჟინერიის ძირითადი განათლება - 130 კრედიტი, ზოგადი პრაქტიკული განათლება - 8 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტი - 8 კრედიტი, საერთო ჯამში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროგრამაში განსაზღვრულია - 174 კრედიტი.
„მექანიკური ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა მეტწილად შესაბამისად;
1.1. პროგრამის მიზნები - პროგრამის მიზნის ნაწილი „ავტომობილების და შიგაწვის ძრავების“ ცოდნის შესახებ სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და წარმოადგენს „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“

(დეტალური სფეროს 0716) სწავლის სფეროს და საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის მიზნიდან;
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილი, რომელიც არის, ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების შესახებ, სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და მიეკუთვნება ,,ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ დეტალური სფეროს (0716), ამიტომ, ისინი საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის სწავლის შედეგებიდან;
ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამის ფარგლებში კვალიფიკაციის მიღწევა არ არის გარანტირებული, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ №69/ნ ბრძანების II დანართის V მუხლით 50%-ზე მეტი თუ არის გათვალისწინებული სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსებით კვალიფიკაცია დაკმაყოფილებულია, შესაბამისად პროგრამაში 174 კრედიტი იყო ძირითადი კვალიფიკაციისათვის გამიზნული სასწავლო კურსები, ზემოაღნიშნული ორი სასწავლო კურსი „ავტომობილების ზოგადი თეორია“ და „შიგაწვის ძრავები“ ჯამში შეადგენს 5-5 კრედიტს, შესაბამისად მისი თავისუფალ კომპონენტში გადატანა არჩევითი სასწავლო კურსის სახით არ წარმოადგენს იმის საშიშროებას, რომ კვალიფიკაცია არ იქნება მიღწეული, ამიტომ არ შეფასდა არც შეუსაბამოდ, არც ნაწილობრივ შესაბამისად და შეფასდა მეტწილად შესაბამისობად;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან მხოლოდ 2.3 კომპონენტია ნაწილობრივ შესაბამისობაში, 2.1 სრულ შესაბამისობაშია, დანარჩენი კი მეტწილად შესაბამისობაშია;
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - საჭიროა პროგრამაში სტატუსი შეეცვალოთ სასწავლო კურსებს „ავტომობილების თეორია“ (5 კრედიტი) და „შიგაწვის ძრავები“ (5 კრედიტი) და გადატანილი იქნას არჩევით სასწავლო კურსებში, რადგან ისინი არ ემსახურებიან მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად სწავლის შედეგების გამომუშავებას. ზოგადად პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი არის თანმიმდევრული, ლოგიკური, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საუბარია იმ საკითხზე, რომ „ავტომობილების თეორია“ და „შიგაწვის ძრავები“ გადატანილ იქნას თავისუფალ კომპონენტში, რომელიც შეადგენს 8 კრედიტს, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ხდება კიდევ 15 კრედიტის შეთავაზება უნივერსიტეტის მხრიდან, სტუდენტის მხრიდან ანაზღაურების გარეშე თავისუფალი კომპონენტების სახით, რაც საერთო ჯამში 23 კრედიტს შეადგენს და თუ სტუდენტს სურს შეისწავლოს/გაიღრმავოს ცოდნა მისთვის საინტერესო მიმართულებით, უნივერსიტეტი აძლევს ამის საშუალებას, სტრუქტურასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტს ჰქონდა მოსაზრება, რომ „მანქანათა ნაწილებისა“ და „საწარმოო პრაქტიკის“ სასწავლო კურსებში პროცესები წარმოდგენილია 5-5 კრედიტით, როდესაც თეორიული მექანიკა წარდგენილია 10 კრედიტით, მასალათა გამძლეობა - 10 კრედიტით და მანქანა-მექანიზმების თეორია - 9 კრედიტით, სასურველია დაწესებულებამ დააბალანსოს ზოგად-ტექნიკური საგნების მოცულობა კრედიტებში.
2.3. სასწავლო კურსი - საჭიროა სასწავლო კურსების „მანქანათა ნაწილების“, „მასალათა გამძლეობის“, „საინჟინრო გრაფიკის“ სწავლების ფორმები დაზუსტდეს, შესაბამისობაში მოვიდეს სემესტრულ გეგმაში მითითებულ სწავლების ფორმებთან და სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ასათვისებელი მასალის სპეციფიკასთან, ხოლო სასწავლო კურსების „გაზომვები და ხელსაწყოები“ და „საწარმო პროცესები“ სწავლებისთვის აუცილებელია დაემატოს ლაბორატორიული ფორმა, რომლის განხორციელება შესაძლებელია დაწესებულების რესურსებით, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა, რომ დაწესებულებას ადგილზე აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ვინაიდან, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებული უნდა იყოს სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, სასწავლო კურსების სილაბუსებში „თეორიული მექანიკა 1“, „თეორიული მექანიკა 2“, „მასალათა გამძლეობა 1“ , „მასალათა გამძლეობა 2“ , „მექანიზმების და მანქანების თეორია 1“, „მექანიზმების და მანქანების თეორია 2“, „საინჟინრო გრაფიკა 1,2,3“, „მანქანათა ნაწილები“ , „შიგაწვის ძრავები“, „ავტომობილების თეორია“ და სხვა საჭიროა განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, რადგან ისინი ძირითადად გამოცემულია 15-20 წლის წინ და არ პასუხობს დარგის აქტუალურ განმარტებას, არ არის მიმართული დარგის აქტუალურ პრობლემებზე;

საჭიროა გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი „მანქანათა ნაწილები“, სრულყოფილად გაიწეროს კურსის მიზანი, შეივსოს ძირითადი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით, სილაბუსის სალექციო თემატიკები და საათების განაწილება მოვიდეს შესაბამისობაში ასათვისებელი მასალის მოცულობის შესაბამისად (მაგ. „შესავალის“ შესწავლას დათმობილი აქვს 1 საათი, ასევე, „დაწებებით შეერთებას“ (რომელიც საერთოდ არ უნდა იყოს განხილული ამ სასწავლო კურსში) და ისეთ რთულ საკითხებს, როგორიცაა მე-11 ლექცია „ცილინდრული, კონუსური და ჭიახრახნული გადაცემები“, დათმობილი აქვს თითო საათი, რომლის ფარგლებში მითითებული საკითხების ათვისება არ არის შესაძლებელი;

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - საჭიროა პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი იყო პრაქტიკის/სტაჟირების ფარგლებში მიღებული სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა - ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ საკითხზე ესაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომელთა აზრი ლოგიკას ექვემდებარება, თუმცა მოთხოვნა, რომ პრაქტიკის ხელშეკრულებაში საჭიროა სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის მიზნის/ხანგრძლივობის გაწერა, რადგან იყოს დოკუმენტური მტკიცებულება, ამიტომ მიეცათ აღნიშნული რეკომენდაცია;

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - საჭიროა სასწავლო კურსების „მანქანათა ნაწილები“ და „საწარმოო პროცესები“, სწავლება განხორციელდეს ლაბორატორიული მეთოდებით;

· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები 4.1 და 4.3 ქვესტანდარტში;

4.1. ადამიანური რესურსი - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის 42:48 პროცენტული თანაფარდობა, ანუ 50%-ზე ნაკლებია უნივერსიტეტის აკადემიური რესურსი და უფრო მეტია მოწვეული, უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აქვთ კარგი პრაქტიკა ხშირად განაახლონ მოწვეული პედაგოგები რანგის, ცენზის, დამსახურებისა და კვალიფიკაციის მიხედვით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროგრამის მდგრადობისთვის საჭიროა უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელ პირთა 50%-ზე მეტი დააკომპლექტოს საკუთარი აკადემიური პერსონალით;

4.3. მატერიალური რესურსი - პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა და ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რასაც დაწესებულება უზრუნველყოფს, მას პრაქტიკაში აქვს პრეზენტაციების დამუშავების მიმართულება თითოეული ლექციისთვის, რომელიც შემდეგში ეგზავნებათ სტუდენტებს (ამას სტუდენტებიც ასაბუთებენ), თუმცა ყველა სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურა არ შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს და საჭიროა მათი განახლება უფრო თანამედროვე, შევსებული გამოცემებით;

· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - საჭიროა პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული

პერსონალის ჩართულობის ხარისხი, ვინაიდან როგორც მათ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მოწვეულ პერსონალს არ ჰქონდა მიღებული მონაწილეობა სილაბუსების შემუშავებაში და მათ გამოხატეს შესაბამისი აზრი, ამიტომ გასცა ექსპერტთა ჯგუფმა, აღნიშნული რეკომენდაცია.
15:59 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა ირაკლი ბურდული

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ სწორად იქნა განმარტებული, მაგრამ შედეგები მიაჩნიათ, რომ არასწორია, ავტომობილების ნაწილში სწავლება არ არის აუცილებელი კომპონენტი მექანიკის ინჟინერიის კლასიკური განათლების, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, ეს უნივერსიტეტის ძლიერი მხარეა, მათ შორის გამოცდილი პერსონალით უზრუნველყოფილიც და აღნიშნულ კომპონენტს დაწესებულება სთავაზობს, რაც არ შეიძლება, რომ დარღვევა იყოს, რაც ექსპერტებმაც განმარტეს, მაგრამ დასკვნაში ნეგატიურად აისახა. მისი თქმით, ზოგადი სამართლის ნორმაა, რომ ერთი დანაშაულისთვის ორჯერ არ „ისჯებიან“ და შეუძლებელია ერთი რამის გამო ორი სტანდარტი იყოს მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. მისი განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლები არ თვლიან, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშული სასწავლო კურსები უნდა გადაიტანონ არჩევითი კურსებში, რადგან დაწესებულებას აქვს ამის შესაძლებლობა და ასწავლიან, არაფერს აკლებენ მექანიკის ინჟინერიის ძირითად განათლებას, პირიქით უმატებენ და თუ ეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მაინც ხარვეზად შეფასდება, მაშინ აღნიშნული ხარვეზი უნდა იყოს ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებაში, რადგან ერთი დანაშაულისთვის ორჯერ არ „დაისაჯონ“, რაც ზოგადი სამართლის/სამართლიანობის ნორმაა.
რექტორმა მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა კრიტიკულად გადაეხედათ რეკომენდაციების ნაწილს, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ კარგია აღნიშნული კურსების სწავლება და იმ პერსონალის გამოყენება, რომელიც დაწესებულებას ჰყავს, მათ შორის კვლევით ინსტიტუტშიც, რომლის დირექტორი ზაზა მეტრეველია და მეორეს მხრივ, თუ მაინც ჩაითვლება, რომ არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან, რომელიმე სტანდარტში უნდა აისახოს, ან პირველში, ან მეორეში.
მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგია სხვადასხვა პროგრამების მიმართ მუდმივი და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის, დაწესებულებას გავლილი აქვს ავტორიზაცია და ზემოაღნიშნული სტრატეგია არის მოწონებული/დადებითად შეფასებული, ფაქტობრივად, უხარვეზო ავტორიზაცია ჰქონდა აგრარულ უნივერსიტეტს, მეორეს მხრივ, ინჟინერია არის პრაქტიკული დარგი და დაწესებულების სურვილია სტუდენტებთან ურთიერთობა ჰქონდეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ინჟინერიასთან არა მხოლოდ თეორიული, არამედ ყოველდღიური, პრაქტიკული შეხება აქვთ და ეს პროპორცია არის დაწესებულების პოლიტიკის შესაბამისი, მაგ., ფუნდამენტურ მეცნიერებებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში პროპორცია არის პირიქით, 60:40, რადგან თვლიან, რომ ადამიანი, საუნივერსიტეტო გარემოში უნდა იყოს დიდხანს ინტეგრირებული, უნდა იყოს მისი დასაქმების უმეტესი ნაწილი, რომ შეძლოს სწორად წარუძღვეს სასწავლო პროცესს, რაც ინჟინერიაში არის პირიქით და არ არის შემთხვევითი, ეს არის პოლიტიკის ნაწილი, სრულად ლეგიტიმურია და აქვს კიდეც ლეგიტიმაცია მიღებული.
პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ დასძინა, რომ არის ძალიან მცირე ჯგუფები, რადგან ძალიან ცოტა ირჩევს მექანიკის ინჟინერიას.
რექტორი დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლის ნათქვამს, მან განაცხადა, რომ დაწესებულება ვერ დააკავებს ხალხს, რომელსაც შეიძლება საათებიც არ ჰქონდეს საკმარისი, ზოგადად დაწესებულება „მექანიკის ინჟინერიას“ ინახავს, როგორც მისთვის საჭირო მიმართულებას, დიდწილად მომავლის პერსპექტივით. მან განმარტა, რომ „მექანიკის

ინჟინერიის“ პროგრამით უნივერსიტეტს არც არაფერი დააკლდება, თუ არ მოემატებოდა ხარჯების თვალსაზრისით. მისი თქმით, ზემოაღნიშნული გარემოებები ქმნის პროპორციებს, რომელიც გონივრული, ლეგიტიმური და გარემოებებიდან გამომდინარეა.
გამოკითხვასა და ჩართულობასთან დაკავშირებით რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს პერსონალური ურთიერთობა ყველა ლექტორთან, მათი რაოდენობა არ შეადგენს ათეულობით/ასეულობით რიცხვს, რომ იყოს დისტანციური/დაწესებულებამ გააკეთოს გამოკითხვები და ა.შ. რაც შეეხება სილაბუსებს მან განმარტა, რომ თუ კონკრეტულ სილაბუსზე მუშაობას შეეხება, მისთვის წარმოუდგენელია, ვინმე ლექტორი იყოს, რომელსაც დაუდეს მაგიდაზე სილაბუსი და უთხრეს იმ სილაბუსით წაეკითხა, ასეთი ფაქტი არ არსებობს, მისთვის უცნობია ექსპერტებთან საუბრისას რა ითქვა, მაგრამ შეუძლებელია ასეთი რამე მოხდეს, რადგან დაწესებულება ასე არ მუშაობს.
მან სიტყვა გადასცა საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანს, ზაზა მეტრეველსა და პროგრამის ხელმძღვანელს, მამუკა ბენაშვილს.
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, ზაზა მეტრეველმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გაწეული სამუშაოსათვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები რეკომენდაციების უმეტესობას არ ეთანხმებიან, რადგან „მექანიკის ინჟინერიის“ მიმართულებაზე ფაქტობრივად სტუდენტები არ მიდიოდნენ, 2015 წელს როდესაც ზაზა მეტრეველი გახდა დეკანი, მაშინ იყო ეს პრობლემა და ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, რომ ამ მიმართულებით შეეცვალათ სიტუაცია და საკმაოდ ბევრი შრომა/ფიქრი ჩადეს, რეალურად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 10-15 სტუდენტმა აირჩია „მექანიკის ინჟინერია“ ეს მოხდა, რადგან პროგრამის გაუმჯობესებისთვის დაწესებულების წარმომადგენლები ბევრს ფიქრობდნენ/აკეთებდნენ. მისი მოსაზრებით, არ არის ცუდი პროგრამა, მათ მიაღწიეს იმას, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები წარმატებით დასაქმებულნი არიან, წამყვან პოზიციებზე, ასევე სტუდენტები კვლევებში ჩასართავად მიყავთ ხელშეკრულების საფუძველზე გერმანიის იულიხის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან, სადაც არის მექანიკის ინჟინერიის ინსტიტუტი, რომელიც მუშაობს Cutting Edge of Science-ის დონეზე და „მექანიკის ინჟინერიის“ სამი სტუდენტი მიწვეული იყო 6 კვირიანი „ინტერშიფით“, რომლის დროსაც ისინი ერთვებოდნენ კვლევებში და დაბრუნების შემდეგ საქართველოდან აგრძელებდნენ მოღვაწეობას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები მოხარულები არიან, წინა შეხვედრაზე ვინც ესწრებოდა ნახა, რომ სხვა ელექტრო ინჟინერიის და მშენებლობის პროგრამების ინჟინერიის სხდომა იყო და დაწესებულების წარმომადგენლები ასრულებენ ყველა რეკომენდაციას, რომლებიც მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ; ასწორებენ და მოქმედებენ შესაბამისად, თუმცა აღნიშნულ ვითარებაში არსებობს რეკომენდაციები, რომლებსაც დაწესებულების წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ.
რეკომენდაცია 1 - დეკანმა განმარტა, რომ აღნიშნული საგანი არ არის შემთხვევით შეთავაზებული პროგრამაში, ეს იყო დამსაქმებლებთან ურთიერთობის შედეგი, სადაც სტუდენტების აზრიც არის გათვალისწინებული და აღნიშნული საგანი ეკითხებათ მხოლოდ მექანიკის ინჟინრებს, მისი ამოღება, ან გადატანა არჩევით საგნად ნიშნავს სასწავლო კურსის გაუქმებას და მისი მოსაზრებით, აღნიშნული საგნების პროგრამაში შეტანა არ ეწინააღმდეგება კანონს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმაც აღნიშნეს, რომ პროგრამა ძლევს თავის მიზნებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა დეტალური პასუხი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე წარადგინეს არგუმენტირებულ პასუხში, მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების არცერთი პასუხი არ მიიღო მხედველობაში. მაგ., რეკომენდაცია იყო, რომ „გაზომვები და ხელსაწყოები“ და „საწარმო პროცესები“ დაემატოს ლაბორატორიულები, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროსაც აღნიშნეს და არგუმენტირებულ პასუხშიც დაწერეს, რომ

ლაბორატორიულები ტარდება და სილაბუსებშიც წერია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მაინც დაწერა რეკომენდაციად, პროგრამის არსებობიდან დაწყებული დაწესებულებას გააჩნია ლაბორატორიები და ტარდება.
დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, დეკანის მოსაზრებით, სადაც შესაძლებელია რომ მითითებული იყოს ახალი ლიტერატურა უნდა განახლდეს, შესაძლებელია დამატება, თუმცა ლიტერატურა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ეხება კლასიკურ საგნებს, რომლებშიც ჯობია ახალი, მაგრამ ბევრი არაფერი იცვლება ამით. მან აღნიშნა, რომ თვითონ თითქმის ყველა ტექნიკური მიმართულების სტუდენტს ასწავლის ფიზიკას და კარგად იცის როგორ და რანაირად ხდება, მითითებულია ინგლისურენოვანი, ახალი ლიტერატურა, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულება არ აცხადებს პრეტენზიას, რადგან ლიტერატურა მუდმივად უნდა იყოს ახალი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი.
პროგრამის ხელმძღვანელის, მამუკა ბენაშვილის თქმით, ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია, რომ ავტოკადის შესწავლისას გამოიყენება 2012 წლის სახელმძღვანელო, რეალურად აღნიშნული სასწავლო კურსის შესწავლისას სტუდენტები თითქმის არ იყენებენ სახელმძღვანელოს, 2021-ის სტუდენტურ ვერსიას სწავლობენ, რომლის სხვაობა არის რამდენიმე ბრძანება, რომელსაც ლექტორი უხსნის შეხვედრების დროს, არანაირ დისკომფორტს არ ქმნის 2012 წლის ლიტერატურით 2021 წლის ავტოკადის შესწავლა, აღნიშნული სახელმძღვანელოს დადება ფორმალურ ნაწილს წარმოადგენს, თუ ამის საჭიროება იქნებოდა ამაზე არც ენერგიას დაიშურებდა დაწესებულება და არც სახსრებს, თუმცა არ გამოკვეთილა იმის საჭიროება, პირველი აკრედიტაციისთვის, რომ დადეს სახელმძღვანელო ავტოკადისთვის მას შემდეგ არ ყოფილა შეცვლის საჭიროება.
რექტორმა დასძინა, რომ სტუდენტები არც იყურებიან წიგნში, აღნიშნული სასწავლო კურსის მასალას სტუდენტები ძირითადად სწავლობენ Youtube-ით ან „ტუტორიალებით“, რომლებიც „ონლაინ“ არის და მას წიგნით ნასწავლი ავტოკადი არ უნახავს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საუბარი არ იყო მხოლოდ ავტოკადზე, რაც შესაძლებელია ისწავლებოდეს 2012 წლის სახელმძღვანელოთი და ბრძანებები ასწავლოს ლექტორმა დამატებით, საუბარი იყო სხვა სასწავლო კურსებზეც, სადაც 15-20 წლის წინანდელი გამოცემები სასურველია არ იყოს სასწავლო პროგრამაში, 10 წლის წინანდელ სახელმძღვანელო შესაძლებელია იყოს, მაგრამ გასული საუკუნის არა.
სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა, რომ არ შესულიყვნენ პოლემიკაში ერთმანეთთან.
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, ზაზა მეტრეველმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსის „მანქანათა ნაწილების“ შესახებ დაწერილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მისი ინფორმაციით, ექსპერტთა ჯგუფს ლექტორებთან გასაუბრებისას მიეწოდა არასწორი სილაბუსი და ლექტორთან შეხვედრის შემდეგ გადაეგზავნათ სილაბუსი, რომელიც რეალურად გამოიყენება ლექციების წასაკითხად, ამიტომ იგი არ არის დარწმუნებული, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსთან დაკავშირებით გაწერილი ყველა რეკომენდაცია გამართლებულია, რის შესახებაც დაწესებულებამ აღნიშნა არგუმენტირებულ პოზიციაშიც. დეკანმა საკურსო პროექტებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესახებ დააზუსტა არის თუ არა დატოვებული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შესაძლებელია რჩევაში იყოს გადატანილი.
დეკანმა განაცხადა, რომ რჩევაში შესაძლებელია იყოს, თუმცა რეკომენდაციად დატოვება მისთვის მიუღებელია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მას კითხვისას გამორჩა, რადგან რეკომენდაციაშია დატოვებული.
დეკანმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება, რადგან ლექტორი, რომელიც ჰყავს „საკურსო პროექტს“ არის მიმართულების ხელმძღვანელი, ყველაზე დიდი ნდობა აქვს ლექტორს, რადგან მან იცის რა პრერეკვიზიტი უნდა ჰქონდეს მის საგანს, საკურსო პროექტებს არ აქვს პრერეკვიზიტი და არც უნდა ჰქონდეს, რის შესახებაც წერია დაწესებულების

არგუმენტირებულ პოზიციაში, მაგრამ „სინიორ პროექტს“, რომელიც მეოთხე კურსზე იკითხება აქვს პრერეკვიზიტი „მანქანათა ნაწილები“, რადგან ეს პროექტი ცალსახად განსაზღვრულია „მანქანათა ნაწილებისთვის“ და ის, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ცოტა კრედიტები აქვს საგანს ესეც უნდა დაემატოს, რადგან საკურსო პროექტში სტუდენტები ძალიან მნიშვნელოვან ცოდნას იღებენ.

აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით დეკანმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და სთხოვა დათანხმებოდა, რომ მდგრადობა დაწესებულებაზე მეტად არავის აინტერესებს, აღნიშნული თანაფარდობა კი შინაგანაწესით აბსოლუტურად დაცულია და მისი მოსაზრებით, არანაირი პრობლემა არ არის, რასაც მოყვება კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ერთ-ერთ მოწვეულ ლექტორთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგად გაიწერა და რაზეც რექტორმა გასცა პასუხი, ფაქტი არის ერთი არავინ აძლევს მოწვეულ ლექტორს ხელში სილაბუსს წინასწარ, რომ სასწავლო კურსი წაიკითხოს მიწოდებული სილაბუსის მიხედვით, გამორიცხულია, ლექტორი მიდის სილაბუსით და შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან და სხვა განმახორციელებელ პერსონალთან ერთად შესაძლებელია ნაწილობრივ შეიცვალოს, თუმცა ასეთი რამე არ ხდება, შესაძლებელია დეკანს რამე გამორჩა. თუმცა მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რომ დაწესებულება აბსოლუტურად ღიაა ნებისმიერი რეკომენდაციისათვის თუ პროგრამის გაუმჯობესებას ემსახურება და საბჭოს წევრებისათვის წინა სხდომა იყო ამ ყველაფრის მაგალითი, მშენებლობისა და ელექტრო ინჟინერიის მიმართულებაზე, დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურებოდა პროგრამის გაუმჯობესებას.

მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, თუმცა სხვა რეკომენდაციები მათი მოსაზრებით არ ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას, ბევრმა რაღაცამ შესაძლებელია პირიქით იმოქმედოს, დაწესებულება მაგისთვის იღწვის და ბევრი შრომა აქვს ჩადებული, მან საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ სხდომის დამთავრების შემდეგ, თათბირზე კიდევ ერთხელ გაიარონ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან ერთად გადაწყვიტონ, რომ ამდენი რეკომენდაცია არ არის საჭირო. მან მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, მამუკა ბენაშვილს ხომ არ სურდა რაიმეს დამატება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მამუკა ბენაშვილმა განაცხადა, რომ არაფრის დამატება არ სურს, თუმცა თუ საჭირო იქნება რომელიმე რეკომენდაციაზე დაწვრილებით საუბარი და განმარტება მზად არის პასუხის გადაცემად. მან აღნიშნა, რომ თუ დაწესებულების წარმომადგენლების განმარტების შემდეგ საბჭოს წევრებს დარჩათ კითხვები და რაიმე მკაფიოდ არ არის განმარტებული, იგი მზად არის პასუხის გასაცემად.

მან სილაბუსებთან და ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე განაცხადა, რომ ნამდვილად არის მითითებული 15-20 წლის წინანდელი ლიტერატურა, თუმცა რეკომენდაციებში აღნიშნულ სასწავლო კურსებში შინაარსობრივად დროში თითქმის უცვლელია და არაფერი სიახლე არის, გარდა იმისა, რომ სტუდენტს შესაძლებელია ჰქონდეს ვიზუალურად სანახავი სახელმძღვანელო, სადაც ეწერება 2020 წელი, თუმცა შინაარსობრივად არ იცვლება, რაც მარტივი გადასამოწმებელია, რომ თეორიული მექანიკა 20 წლის წინანდელი და ამჟამინდელი შინაარსობრივად თითქმის 100%-ით იგივეა ისევე, როგორც ფიზიკა-მათემატიკა. რაც შეეხება „მასალათა გამძლეობას“, „მექანიზმებისა და მანქანების თეორიას“, „შიგაწვის ძრავებს“, რომელშიც ვინმემ შესაძლებელია ჩათვალოს, რომ 20 წლის წინანდელ ძრავებსა და ამჟამინდელ ძრავებს შორის რადიკალური ცვლილება არ არის, თუმცა სილაბუსში მოყვანილი საკითხები, რომლებიც ისწავლება „შიგაწვის ძრავებში“, უცვლელია ძრავების დაარსების დღიდან ამ ეტაპამდე, ასევე არის ავტომობილებშიც, თანამედროვე ავტომობილი ცხადია რადიკალურად განსხვავდება წინა საუკუნის ავტომობილისგან, მაგრამ ის საკითხები, ის დინამიკური საკითხები უცვლელია და მისი მოსაზრებით, კიდევ 20 წლის შემდეგაც ზუსტად იგივე საკითხებს ისწავლიან სტუდენტები ავტომობილებში, რასაც აღნიშნული პროგრამის მიხედვით სწავლობენ. შთაბეჭდილება იმის, რომ დაწესებულება

სტუდენტებს აძლევს მოძველებულ ცოდნას დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან, რადგან ამისი დასტური არის ის, რომ აღნიშნულ საგნებზე არის ბაზრის მოთხოვნა და ძრავები და ავტომობილები არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მანქანები მსოფლიოში. მისთვის წარმოუდგენელია არსებობდეს მექანიკის ინჟინერი, რომელსაც არ ეცოდინება ძრავისა და ავტომობილი მუშაობის პრინციპი, სწორედ ამიტომ მოხდა აღნიშნული ორი საგანი პროგრამაში.

პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ დასძინა, რომ „დელტასგან“ მოდიოდა აღნიშნული დაკვეთა და დაწესებულება სხვა კომპანიებთანაც თანამშრომლობს ავტომობილების კუთხით.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათი სტუდენტები მუშაობენ სხვდასხვა კომპანიებში, საიდანაც წამოვიდა ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების პროგრამაში ჩართვის აუცილებლობა, მაგ., სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, რომელთანაც ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობენ და ყველა სტუდენტი პრაქტიკას გადის აღნიშნულ ცენტრში, მათი კურსდამთავრებულები მუშაობენ „Caterpillar“ წარმომადგენლობასთან საქართველოში, „Tegeta Motors-ში“, „Lexus-ის“, „Jaguar-ის“ ცენტრთან „ATC Technology-თან“, რომელიც ბოინგის კონტრაქტორი კომპანიაა და სწორედ ზემოაღნიშნული კომპანიებიდან წამოვიდა ინიციატივა, რომ პროგრამაში გაჩენილიყო ზემოაღნიშნული ორი საგანი, სწორედ ეს არის განსახილველი პროგრამის უნიკალურობა, სხვა შემთხვევაში თუ ასეთი საგნები სხვა მიმართულებით არ მოხვდება იქნება ეს სტანდარტულად ერთიდაიგივე, დაბეჭდილი, ტყუპებივით ერთმანეთს ემსგავსება ყველა „მექანიკის ინჟინერიის“ პროგრამა, როგორც რექტორმა აღნიშნა დაწესებულებას კარგი რესურსიც აქვს.

რექტორმა განაცხადა, რომ მას დაავიწყდა ეთქვა, რომ ეს წესით კარგ პრაქტიკაში უნდა ჩაწერილიყო, თუ როგორ პასუხობს დაწესებულება დამსაქმებლის მოთხოვნას პროგრამის მოდიფიკაციით.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სასწავლო გეგმასა და სილაბუსებს შორის იყო უზუსტობა, დაწესებულებას აქვს ლაბორატორიები, მექანიკური ქარხანა, რომლის მსგავსი რესურსი საქართველოში ძალიან ბევრ უნივერსიტეტს არ აქვს, სტუდენტები მექანიკურ ქარხანაში გადიან ლაბორატორიულ მეცადინეობებს, თუმცა არ იყო ასახული სასწავლო გეგმაში, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, ცხრილში უნდა გადანაცვლდეს რიცხვები, არ არის არსებითი შენიშვნა და პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარე.

პრერეკვიზიტებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ და მათი მოსაზრებით არ არის დაშვებული შეცდომა, მაგ., პროგრამის ხელმძღვანელი ასწავლის საკურსო პროექტებს (1, 2-ს), აღნიშნული სასწავლო კურსების მიზანი არის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება სტუდენტებისთვის, რომლისთვისაც დაწესებულებას ძალიან კარგი რესურსი აქვს, ექსპერტებმაც ნახეს ოთახი ნულ სართულზე, რომელსაც „საჩხირკედელაო ლაბორატორიას“ ეძახიან, იგი 24 საათის განმავლობაში ღიაა და სტუდენტები არა მხოლოდ საგნის ფარგლებში, არამედ სხვა, თავისუფალ დროსაც, საკმაოდ ბევრ დროს ატარებენ ლაბორატორიაში, მათი განსახორციელებელი იდეებისათვის ყველაფერი ხელმისაწვდომია, ლაბორატორიას ჰყავს ზედამხედველი, რომელიც მუდმივად იქ არის, რადგან, მაგ., ჩარხთან მუშაობისას არ დაიზიანონ რამე და ა.შ. აღნიშნული საკურსო პროექტების მიზანია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განხორციელება, რასაც სასწავლო კურსი წარმატებით აღწევს.

რექტორმა დასძინა, რომ პრაქტიკული იმ თვალსაზრისით, რომ ამას პირობითად, ფიზიკის ცოდნა არ სჭირდება, გარკვეული მოტორიკა მუშავდება.

დეკანმა აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია ფაქტორი, რომ საკურსო პროექტის თემასთან დაკავშირებით, ძირითადად სტუდენტებს ეძლევათ საშუალება თვითონ აირჩიონ, არის მრავალფეროვანი, შესაბამისად რაიმე კონკრეტული პრერეკვიზიტის განსაზღვრა, ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგრამ თუ კი პროექტის განხორციელებისას სტუდენტს რაიმე ცოდნა აკლია და საჭიროებს, ამას აკეთებს მიმართულების ხელმძღვანელი, მამუკა ბენაშვილი, რომელსაც მიყავს აღნიშნული სასწავლო კურსები და დამატებით ავსებს ცოდნას, არა მხოლოდ

პრაქტიკულს, არამედ თეორიულსაც, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებისთვის შეუძლებელია პრერეკვიზიტების განსაზღვრა, რადგან სადაც საჭიროა, მეოთხე კურსის ე.წ. „სინიორ პროექტზე“ იქ არის პრერეკვიზიტი „მანქანათა ნაწილები“, რადგან გამიზნულია საკურსო აღნიშნული სასწავლო კურსისთვის.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რატომ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი და თუ საჭიროა რაღაც ცოდნა სტუდენტს პრერეკვიზიტულად ჰქონდეს რას აკეთებენ ამ შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენლები, მაგ. ერთ-ერთმა სტუდენტმა საკურსო პროექტად აირჩია თემა - „ტურბო ძრავები“, რომლის შესახებაც, მამუკა ბენაშვილს, როგორც საგნის ხელმძღვანელს არ ჰქონდა ცოდნა/გამოცდილება ამ მიმართულებით, თუმცა მოძებნეს ადამიანი, რომელსაც ჰქონდა ინფორმაცია ამ საკითხების შესახებ და ზემოაღნიშნული სტუდენტი გადაამისამართეს მასთან, იმუშავეს ერთობლივად და შემდეგ თეორიული ცოდნის საფუძველზე დაასრულეს პროექტი.
დეკანმა დაამატა, რომ სწორედ „ტურბო ძრავებთან“ დაკავშირებით, ის სტუდენტი, რომელიც აღნიშნულ პროექტს ასრულებდა იყო უილიხში და ის ნაწილები, რომელთა დამზადებაა თბილისში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, სიზუსტის გამო, რადგან თბილისში არ არსებობდა ასეთი ჩარხები, შეუკვეთეს უილიხში და მათ გაუკეთეს აღნიშნული ნაწილი, რომელიც იქ ყოფნისას ხელმეორედ გაითვალეს პროგრამული პაკეტით „კატია“, რომელსაც იყენებენ მთელ მსოფლიოში ყველა მიმართულებით და რეალურად ეს პროექტი „ტურბო ძრავა“ არის გამზადებული, რომელიც სტუდენტისთვის არის უნიკალური ნამუშევარი, ამაზე მან პრეზენტაცია გააკეთა, როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოშიც, დაბალ კურსელებს აჩვენებენ, ახვედრებენ კურსდამთავრებულებს, რომელთაც ასეთი გამოცდილება აქვთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დაბალ კურსელების სტიმულირებისათვის და შედეგი არის ის, რომ პროგრამის მსურველი სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, მან მიმართა რექტორს და აღნიშნა, რომ შესაძლებელია, მისთვისაც უცნობია წინა დღის გამოკითხვის შედეგები, რომ წინა წელს 11 სტუდენტი იყო აღნიშნულ მიმართულებაზე მიმდინარე წელს კი 14 სტუდენტია „მექანიკის ინჟინერიაზე“.
რექტორმა აღნიშნა, რომ არ იცოდა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „მექანიკის ინჟინერიაზე“ სხვა უნივერსიტეტებში როგორი სტუდენტები სწავლობენ, მათი ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით, საქართველოში პირველ ადგილზეა განსახილველი პროგრამა და ამ მხრივაც განსხვავდებიან სხვა უნივერსიტეტების იმავე პროგრამისგან, რომ აქვთ ძალიან კარგი რესურსი, კერძოდ, მექანიკური ქარხანა, „საჩხირკედელაო ლაბორატორია“ და დანარჩენი ლაბორატორიები, რომლებიც უნივერსიტეტს აქვს და თანამედროვე დონეზეა აღჭურვილი. მათ ასევე აქვთ მაღალი მოთხოვნა დასაქმების ბაზრიდან, პროგრამის ხელმძღვანელი ბევრ ზარს იღებს, რათა ზედა კურსელები გაუშვას სამუშაოდ სხვადასხვა კომპანიებში, თუმცა ამდენი სტუდენტი ფიზიკურად არ ჰყავთ, რაც მოთხოვნაა, ეს ყველაფერი მას არწმუნებს იმაში, რომ პროგრამა გამართულია და შესაბამისია არსებულ მოთხოვნებთან, მას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ხარვეზი, როგორც დეკანმა აღნიშნა, თუკი არის რაიმე გასაუმჯობესებელი ამ კუთხით, დაწესებულების წარმომადგენლები მზად არიან და დიდი სიხარულით გაიზიარებენ რჩევებს/რეკომენდაციებს.
სხდომის თავმჯდომარის თქმით, მისთვის გასაგებია, რომ პროგრამისა და მიმართულების ხელმძღვანელი უნდა ამაყობდეს საკუთარი პროგრამით/მიღწევებით, თუმცა წმინდა ფორმალური თვალსაზრისით დასკვნა არ არის ისეთი, რომ სასწაულ გაუმჯობესებას მოითხოვდეს პროგრამისგან ან თუნდაც რაღაც სიმძაფრე იყოს რეკომენდაციების, მან დასძინა, რომ ბოლო ერთ წლის განმავლობაში საბჭოს ბევრად მძიმე დასკვნები/პროგრამები უნახავს. მისთვის ასევე გასაგებია ემოციური დამოკიდებულება, რადგან რასაც აკეთებენ ეს არ არის უბრალოდ მოვალეობის მოხდა, აკავშირებთ ვნება საკუთარ პროფესიასთან და ამიტომ მიაქვთ გულთან ახლოს.

რექტორმა განმარტა, რომ საკითხი დასმულია შემდეგნაირად, აღნიშნული პროგრამა წინა სხდომაზე განხილულ პროგრამებთან შედარებით არაფრით უარესი არ არის, ასევე, აღნიშნული პროგრამა იყო ყველაზე პრობლემური, ამოიყვანეს „დიდი ხვრელიდან“ და მისთვის ძალიან კარგი ამბავია, რომ პროგრამას ეყოლება 14 სტუდენტი, რადგან იყო წლები, როდესაც არავინ ირჩევდა, რადგან აბარებდნენ „საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე“ და პირველი კურსის შემდეგ, როდესაც დაწესებულება ახდენს ინფორმირებას, „გემოს უგებენ“, მათ შესავალი აქვთ გავლილი ინჟინერიაში და ა.შ. შემდეგ ირჩევენ პროგრამას, მათ შესაძლებელია სურდათ ჩაბარება „მექანიკის ინჟინერიაზე“, მაგრამ ჩააბარეს ფაკულტეტზე და პირველი კურსის შემდეგ ირჩევენ მიმართულებას, ამიტომ გაუხარდათ, რომ 14 სტუდენტი ეყოლებათ და გაუზიარეს საბჭოსაც.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მართლაც ასეთ დარგებს სჭირდებათ გამორჩეულად პროფესიონალი კადრები და როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა მოთხოვნაც არის ბაზარზე.

რექტორმა განაცხადა, რომ საქართველოში დავიწყებული პროფესიაა აკადემიურ სივრცეში, მაგრამ რეალურ სამყაროში არის მოთხოვნა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა, მით უფრო დიდი მოთხოვნაა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ მიმართა სხდომის თავმჯდომარეს და განაცხადა, რომ საინტერესო იყო ექსპერტთა ჯგუფის წევრის, გიორგი ჯაფარიძის კომენტარი ან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პასუხი მითითებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რადგან 2.2 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია „ავტომობილების თეორია“ და „შიგაწვის ძრავები“ რატომ იყო უნივერისტეტისთვის ასეთი პრობლემა, რადგან მისი მოსაზრებით შესაძლებელია მისი „ბოქსის“ შეცვლა/გადატანა ინჟინერიის ზოგად სასწავლო კურსებში და მაინც იგივე შედეგს მისცემს, რადგან კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პრობლემა არ არის, ისედაც 130 კრედიტია და რატომ იყო აღნიშნული რეკომენდაცია ასეთი პრობლემური მისთვის გაუგებარი იყო.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, გიორგი ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ ყველამ უნდა იზრუნოს პროგრამის გაუმჯობესებაზე და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი შენიშვნები, მისი პირადი აზრი არის ის, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში ჩამოაყალიბა. მან აღნიშნა, რომ სხდომაზე საუბარი იყო „მანქანათა ნაწილებზე“, თვითონ 40 წელია ასწავლის „მანქანათა ნაწილებს“ და აღნიშნული სასწავლო კურსის შესწავლისათვის აუცილებელია ლაბორატორიები და რექტორის თქმით განსახილველი პროგრამა არის პრაქტიკული დარგი, რაც სრული სიმართლეა, ეს არის პრაქტიკული დარგი, რომლისთვისაც ლაბორატორიები აუცილებელია, იგი 40 წლის განმავლობაში სტუდენტს სანამ არ მიიყვანს ლაბორატორიაში, რაც არ უნდა მოწინავე სტუდენტი იყოს, სანამ ლაბორატორიაში არ ნახავს და ხელს არ მოკიდებს იმ უმნიშვნელოვანეს კვანძს, მანამდე ვერ აღიქვამს საგანს ბოლომდე, მაშინ რა გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, სადაც ეს მძლავრი კათედრებია: „თეორიული მექანიკა“, „მასალათა გამძლეობა“, „მანქანათა ნაწილებს“ თავის თავზე იღებს, რომ 30 წლის განმავლობაში, რასაც წერენ ყველაფერს იგივეს წერენ, რისი თქმაც არ არის სამართლიანი, რომ თითქოს ერთიდაიგივე იწერება, 77 წელში გამოშვებული სახელმძღვანელო და თანამედროვე სახელმძღვანელო გადაწერილია 1-1-ში ყველაფერი, რასაც ექსპერტთა ჯგუფის წევრი არ დაეთანხმა.

მან „შიგაწვის ძრავებთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ სილაბუსში მითითებულია 90 წელს გამოშვებული ლიტერატურა, დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, აღნიშნული სასწავლო კურსის ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, 90 წლის შემდეგ ძრავებში ძალიან ბევრი რამე შეიცვალა, ლიტერატურა არის გადასახედი, აბსოლუტურად ლიტერატურის განახლება და ის რაც ითქვა, პროგრამის გაუმჯობესება, მოხდება სწორედ ამით.

რაც შეეხება საგნების გადატანას, ექსპერტმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსების „შიგაწვის ძრავებისა“ და „ავტომობილების თეორიის “ გადატანა პროგრამას არაფერს ავნებს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გაიხსენა, რექტორის მიერ ნათქვამი ფრაზა, რატომ ისჯებოდა დაწესებულება ერთი პრობლემის გამო ორჯერ, მან განმარტა, რომ სტანდარტები სვამს კონკრეტული კომპონენტის მიმართ შეკითხვას და შესაბამისად ის ერთი, რომელიც გამოჩნდა 0716-ის დეტალური სფეროს სასწავლო კურსები აისახა რამდენიმე ქვესტანდარტში, სწორედ ამიტომ მოხდა ასე შეფასება.
რექტორმა განაცხადა, რომ სტუდენტებზეც ასე უნდა ყოფილიყო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სტუდენტებზე არ ისმეოდა აღნიშნული შეკითხვა, კრიტერიუმების მიხედვით, რა შეკითხვებიც არის დასმული, ექსპერტთა ჯგუფი ვალდებულია სამართლიანად გასცენ პასუხი და მისი მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფი ნამდვილად არ იყო უსამართლო აღნიშნული პროგრამის შეფასებისას. რაც შეეხება 0715-ის დეტალური სფერო შეისწავლის მანქანების, მექანიკური საწარმოებისა და სისტემების, ლითონისა და ლითონის პროდუქციის დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, წარმოებას, შენარჩუნებასა და მონიტორინგს, შემდეგ გარკვევით წერია, რომ იგი მოიცავს პროდუქციის წარმოებისა და მომსახურეობისთვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარების პროექტირებასა და შენარჩუნებას და არა ავტომობილების, ასევე არსებობს ავტომობილების მექანიკოსი, რომელიც 0716 დეტალური სფეროთი რეგულირდება, რაზეც არავინ დაობს, რომ ორივე დეტალური სფერო მექანიკოსია, ექსპერტთა ჯგუფისთვის გასაგებია დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია, მათაც იგივე უთხრეს ვიზიტის დროს, რომ რა თქმა უნდა ცუდი არ არის, მაგრამ რადგან არ არის ძირითადი სწავლის სფეროსთვის, არ პასუხობს 0715 დეტალურ სფეროს ვერ მიიღებს მონაწილეობას, ვერც პროგრამის მიზნისა და ვერც სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში, შესაბამისად ის არ უნდა იყოს ძირითადი სასწავლო კურსის, კვალიფიკაციისთვის გამიზნული სასწავლო კურსის სტატუსით. არავინ არ დაობს, რომ დაწესებულებას აქვს რესურსი და უნდა ასწავლოს, უბრალოდ მას ძალიან ცუდად მოხვდა ყურში, არ ირღვევა პროგრამის სტრუქტურა და მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საკმარისია იმ სასწავლო კურსების კომპლექტაცია რაც წარდგენილია სასწავლო პროგრამაში, თუმცა მიზანში გამოჩნდეს, რომ ეცოდინება ავტომობილები და მათი მიმართულებით შეეძლება მუშაობა სრული დაპროექტება, მოვლა-შენახვა და ა.შ. არ შეისწავლება, ამისთვის არსებობს ცალკე დეტალური სფერო და ცალკე 120 კრედიტი უნდა შედგეს, რომ ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსი გამოვიდეს, სწორედ ამიტომ გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია და აისახა ოთხ კომპონენტში.
პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია თუ რატომ ხდება აპელირება სხვა დეტალურ სფეროებზე და ა.შ. აღნიშნულ კურიკულუმში ისწავლება ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ინგლისური და ა.შ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ ზემოაღნიშნული საგნები არ ისწავლება, როგორც ძირითადი სასწავლო კურსები.
პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ განმარტა, რომ ძირითადია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ ჩაუთვლია ზემოაღნიშნული საგნები ძირითად სასწავლო კურსებად.
რექტორმა დასძინა, რომ შესაძლებელია არც აღნიშნული ორი საგანი ჩაითვალოს ძირითად სასწავლო კურსებად.
პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ განაცხადა, რომ იგივე სტატუსი აქვს ამ საგნებსაც.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით თუ მიზანში ეწერებათ, რომ გამოვა ფილოსოფოსი მაშინ იქნება იგივე.
პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ განაცხადა, რომ სტუდენტები სწავლობენ მათემატიკასა და ფიზიკას, რომლებიც არის სავალდებულო საგნები, რათა სტუდენტი გახდეს ინჟინერი, მაშინ გამოდის, რომ დაწესებულებას არ შეუძლია საგნის აღება მათემატიკის დეტალური სფეროდან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათემატიკა და ფიზიკა ამ შემთხვევაში პრერეკვიზიტია.
პროორექტორმა, მარინა ქარჩავამ განაცხადა, რომ პრერეკვიზიტი არაფერ შუაშია, რადგან ეს არის საგანი, რომელიც ისწავლება.
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით არასწორ გაგებასთან აქვთ საქმე, მისი მოსაზრებით საბჭოს წევრებმა მოისმინეს ის მთავარი, რომ კვალიფიკაციისთვის კრედიტების რაოდენობა საკმარისია, ასევე, სავალდებულო საგნებში უნივერსიტეტი რასაც უნდა იმას განსაზღვრავს, 120 კრედიტის მიღმა და მიზნების ნაწილის კორექტირებაში შეუძლია ასახოს, რადგან ეს მისი დისკრეციაა. მან განაცხადა, რომ ესმის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმული პოზიცია სპეციალობის აღრევის შიშთან დაკავშირებით, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ იქნება მიღებული, რადგან, როგორც, მაგ., სოციალურ მეცნიერებებს შეუძლიათ გამოიყენონ ერთმანეთის დარგები, ასევე შესაძლებელია ტექნიკური მიმართულებითაც, მთავარია ამან არ შეიტანოს დეფექტი და არ დაარღვიოს მთელი კვალიფიკაციის სტრუქტურა და თუ 120 კრედიტზეა საუბარი, ამაზე შესაძლებელია სერიოზული მსჯელობა იყოს, თუმცა ესეც დასაფიქრებელია, რადგან არის მომიჯნავე საგნების ნაწილი, რომელიც ბევრ პროფესიაში შედის. მან მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს დაესრულებინათ პოლემიკა, რადგან საბჭოს აქვს ერთგვაროვანი პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და არ აპირებენ ერთგვაროვანი პრაქტიკის გადახედვას, მათი ერთწლიანი პრაქტიკის მიხედვით თუ კი 120 კრედიტი სრულდება პლიუს რა იქნება სავალდებულო/არა სავალდებულო მიიჩნევენ დაწესებულების დისკრეციად და საბჭო არ ერევა, ექსპერტთა ჯგუფმა მოვალეობა მოიხადა, დაწესებულებას აქვს თავისი პოზიცია, საბჭოს კი აქვს ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც შუალედურია და მთავარია სტუდენტის ინტერესები, რომლის მიხედვითაც მოქმედებს ექსპერტთა ჯგუფიც და დაწესებულებაც, მთავარია შეცდომაში არ შეიყვანონ სტუდენტი, თუ 120 კრედიტი ძირითადი სპეციალობით დგება, მაშინ სტუდენტი შეცდომაში არ შედის.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. იგი დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, დააფიქსირა პატივისცემა დაწესებულების წარმომადგენლის, ზაზა მეტრეველის მიმართ, ხაზი გაუსვა მის საერთაშორისო გამოცდილებას, რადგან ჰქონდათ ჩართულობა სხვადასხვა საინჟინრო საკითხებთან დაკავშირებით და მისთვის მისასალმებელია ექსპერტების მხრიდანაც. მისი მოსაზრებით ურთიერთდამოკიდებულებით შესაძლებელია განისაზღვროს დასკვნის ნაწილში გაცემული ის რეკომენდაციები, რომლებიც წაადგება პროგრამის განვითარებას, ზოგადად მექანიკის საინჟინრო მიმართულება იმდენად ინტერდისციპლინურია და ხშირ შემთხვევაში მომიჯნავე სფეროებსაც ფარავს, რომ არანაირად არის პრობლემა „ავტომობილების თეორიებისა“ და „შიგაწვის ძრავების“ საკითხები მექანიკის ინჟინერმა შეისწავლოს, პირიქით ეს კარგია, რადგან მექანიკის ინჟინერი სწავლობს პრინციპებს, რადგან მექანიკური გადაცემაა, ძრავა ასე მუშაობს და საბჭოს წევრს მიაჩნია, რომ ეს აბსოლუტურად არ წარმოადგენს პრობლემას, თუ გამრავალფეროვნდება, დაწესებულების წარმომადგენლებმა ახსენეს „დელტა“ და კომპანია, რომელიც საფრენი აპარატის კონსტრუქციებს ამზადებს და ახლახანს გაჩნდა საავიაციო ბაზარზე, ძალიან კარგია თუ სტუდენტებს პრაქტიკული მაგალითები ექნებათ, კონკრეტული მექანიკის ინჟინერიის სხვადასხვა მიმართულებით გამოყენების. სილაბუსებში არსებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით ფუნდამენტურად ეთანხმება მოსაზრებას, რომ ის პრინციპები და ფუნდამენტური საკითხები, რაც შესაძლოა, ვინმესთვის მოძველებული იყოს, მაგრამ გასული საუკუნის სახელმძღვანელო იმდენად ფუნდამენტურ და მნიშვნელოვან საკითხებს/საფუძვლებს იძლეოდეს, რომ აბსოლუტურად შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის.
საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მან განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ლიტერატურას, როგორც ძირითადს, ასევე დამხმარე ლიტერატურას, მან აღნიშნა, რომ გაეცნო ყველა სილაბუსს და რამდენიმე მათგანში ნახა

ინგლისურენოვანი ლიტერატურა ძირითად ნაწილში და ასევე რუსულენოვანი ლიტერატურაც, იგი დაინტერესდა რამდენად შეიძლება იყოს ძირითად ლიტერატურაში რუსულენოვანი ლიტერატურა და ხომ არ ჯობია დამხმარე ლიტერატურად იქნას გამოყენებული, რადგან სწავლების ენა ქართულია, მართლაც მოთხოვნადი მიმართულებაა და ყოველწლიურად მისაღები კონტიგენტის გაზრდა ხომ არ დააინტერესებდა უფრო მეტად მომავალ სტუდენტებს.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ნახსენები იყო „ტექნიკური მოდელირების“ სილაბუსი, რომლის შინაარსსაც გაეცნო და კარგი იქნებოდა პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტოს რა არსებული ტექნიკური ხასიათის სხვაობაა MATLAB-ის სილაბუსში არსებული მოდელირების ავტომატური სისტემების MATLAB-ის სილაბუსისაგან და რითია გამოწვეული სასწავლო კურსის დასახელება, იგი გაეცნო შინაარსსა და ქეისებს, თუმცა სურს მოისმინოს.
„მუშაობა ორგანიზაციაში“ სილაბუსთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მინიჭებულია 5 კრედიტი სილაბუსში და 150 საათი, აქედან 2 საათი არის საკონტაქტო, 148 საათი დამოუკიდებელი, მისი მოსაზრებით შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზი იყოს.
მან გაიხსენა, რომ ფაკულტეტის დეკანმა ახსენა „საკურსო პროექტები“, რომელიც თემატიკიდან გამომდინარე შესაძლოა იყოს სხვადასხვა და სტუდენტმა იმუშაოს სხვადასხვა საკითხზე, როდესაც „საკურსო პროექტის“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ლიტერატურა, რომელიც საჭიროებს გამრავალფეროვნებას, ან მეტი რაოდენობით უნდა მიეთითოს ან გაჩნდეს ჩანაწერი, რომ სტუდენტს შეუძლია მოიძიოს სხვადასხვა მასალები, რადგან წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ლიტერატურა და შესაძლოა წამკითხველს თვალში მოხვდეს.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე იმსჯელებს საბჭოს წევრებთან ერთადაც და გამოთქვა იმედი, რომ დაწესებულება გაითვალისწინებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით და ასევე, წარმატება უსურვა მათ.
რექტორმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს. მან მისაღები კონტიგენტის შესახებ განაცხადა, რომ მათ აქვთ საერთო მიღება საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, 90 სტუდენტს იღებენ და ყველამ, რომ აირჩიოს „მექანიკის ინჟინერია“, შესაძლებელია, ზოგადად არ სურთ მისაღები კონტიგენტის გაზრდა, რადგან უნდა უზრუნველყონ შესაბამსი რესურსებით ინჟინრების საერთო რაოდენობა და მეორე მხრივ, სურთ მიიღონ ის აბიტურიენტები, რომლებიც კონკურენციაში უკეთ გამოიჩენს თავს, უნდა იყოს კონკურსი, რათა მიიღონ აბიტურიენტები, რომლებიც შეძლებენ ისწავლონ, ამიტომ შეზღუდვა არ არის, მიმდინარე წელს 14-მა სტუდენტმა გამოთქვა სურვილი 14 სტუდენტი მიიღეს, წინა წელს 11-მა გამოთქვა სურვილი, 11 მიიღეს, რომ გამოეთქვა 25 სტუდენტს სურვილი 25-ს მიიღებდნენ, ამიტომ ეს შეზღუდვა არ აქვთ.
რაც შეეხება სასწავლო კურსს „მუშაობა ორგანიზაციაში“, მან განაცხადა, რომ სტუდენტები მიდიან პრაქტიკაზე ორგანიზაციაში, რასაც დაწესებულება არ თვლის საკონტაქტო საათებად, ანუ კონტაქტი კი აქვთ ორგანიზაციაში, მაგრამ არ აქვთ უნივერსიტეტთან, შემდეგ, როდესაც ბრუნდება უნივერსიტეტში, აბარებს ანგარიშს და აკეთებს პრეზენტაციას, ის საათები ითვლება საკონტაქტო საათებად, ანუ უნივერსიტეტთან კონტაქტის საათები ითვლება, ამიტომ არის ასეთი დათვლა, შესაძლებელია სხვანაირი კლასიფიკაციაც, მაგრამ ეს კლასიფიკაცია გამომდინარეობს აღნიშნული პრინციპიდან.
პროგრამის ხელმძღვანელმა MATLAB-თან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ ვერ მიხვდა რატომ გაჩნდა აღნიშნული კითხვა, მან განმარტა MATLAB კომპიუტერული პროგრამაა, ისწავლება „ტექნიკურ მოდელირებაში“ და დააზუსტა მეორე სასწავლო კურსის შესახებ.
საბჭოს წევრმა გაუმეორა კითხვა, რომ „ავტომატური მართვის სისტემებში“ არის რუსული ლიტერატურა ძირითადში მითითებული.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ავტომატური მართვის სისტემებში“ არის სალექციო კურსი, რომელიც 2018 წელს დაწერა საგნის ხელმძღვანელმა და აქვთ ამის ელექტრონული ვერსია, ასევე არის რუსული სახელმძღვანელო, რაც არის იმის ერთ-ერთი დასტური, რომ დაწესებულება არ ერევა ლექტორების სილაბუსებში, არის ქართული, რაც აუცილებელია და ლექტორმა ჩაწერა რუსულიც, რაც არ წაშალა დაწესებულებამ.

პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ ინგლისურ ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტუდენტებმა ზედა კურსებზე იციან ინგლისური.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სილაბუსებში ყველაში არის მითითებული ახალი ინგლისურენოვაინ სახელმძღვანელოები. მან განმარტა, რომ საუბარი იყო 15-20 წლის წინანდელ სახელმძღვანელოებზე, რომლებიც არის ქართულენოვანი, ყველა სილაბუსს ახლავს ახალი, ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ძირითად ლიტერატურაში, რაც ბიბლიოთეკაში დევს.
რექტორმა ინგლისურენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ყველა სტუდენტი, დაახლოებით სამი სემესტრის განმავლობაში მიყავთ ინგლისურის B2 დონეზე, ამისთვის ცალკე პროგრამაა უნივერსიტეტში შემუშავებული, თუ როგორ მივიდნენ სტუდენტები B2 დონეზე, რადგან ზოგს საერთოდ არ სჭირდება, რადგან ისედაც ამ დონით მოდის, თუმცა ზოგი მოდის A1-ით, A2-ით, B1-ით, ყველას აქვს ფაქტობრივად ინდივიდუალური პროგრამა, როგორ მივიდეს უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს 4 სემესტრი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში 3 სემესტრში, ამდენად პროგრამა ქართულენოვანია, მაგრამ უნივერსიტეტის ძალისხმევითა და მათი სისტემით ყველა სტუდენტი ფაქტობრივად მე-3 სემესტრის ბოლოს მიდის B2 დონეზე, რაც სრულიად საკმარისია, რომ ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ და მისი განმარტებით ინგლისური ლიტერატურით სარგებლობდეს.
დეკანმა განაცხადა, რომ იმ ხნის განმავლობაში, როდესაც მას ურთიერთობა აქვს სტუდენტებთან არცერთი სტუდენტისგან არასდროს მოუსმენია პრობლემა იმის შესახებ, რომ ინგლისური ლიტერატურა მათთვის არის რთული ვერ კითხულობენ და ვერ იგებენ, „ფიზიკა“ ყველაზე კლასიკური საგანია, სადაც ინგლისური ლიტერატურაც არის მითითებული, მაგრამ თვითონ, ისევე როგორც სხვა ლექტორები, სტუდენტებს უგზავნიან „სლაიდებს“, რომლებსაც აჩვენებენ ლექციის განმავლობაში, მაგრამ იქ არის ჩასმული ტესტები, თუ როგორ აითვისა მასალა, მან აღნიშნა, რომ სასწავლო კურსს საშუალოდ გადის 300-400 სტუდენტი, კურსის დასაწყისში ეკითხება მათ ხომ არ თვლიან საჭიროდ, რომ აღნიშნული ტესტები ინგლისურად დაუწეროს, რადგან ტექნიკურ სიტყვებს მიეჩვიონ, ბოლოს კი აძლევს არჩევანის შესაძლებლობას და ამის წინააღმდეგი ფაქტობრივად არავინ არის. ქართული ლექცია, ქართული მასალა და ინგლისური ტესტი, შესაბამისად ინგლისურის პრობლემა არ არის, რასაც რუსულზე ვერ იტყვის. მან ასევე აღნიშნა, რომ ახალი ლიტერატურა, ქართულად რთული მოსაძებნია. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის.
სხდომის თავმჯდომარემ დააკონკრეტა საბჭოს წევრის კითხვა, რადგან ის ინგლისურენოვან ლიტერატურაზე მეტად გულისხმობდა რუსულენოვან ლიტერატურას.
დეკანი დაეთანხმა პროგრამის ხელმძღვანელს, რომ დაწესებულება არ ჩაერია ლექტორის არჩევანში.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ 2018 წელს დაწერილი სალექციო კურსია ქართულ ენაზე, რომელიც დევს ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია ყველასთვის.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რადგან სტანდარტი არ მოქმედებს, ინგლისურ ენაზე კითხვა არ ექნებოდა, რადგან თავისუფალი უნივერსიტეტის არაერთი პროგრამა განუხილავთ, პრაქტიკა მისასალმებელი და ერთგვაროვანია ყველა მიმართულებაზე, რადგან ჩასაბარებელი ენა ინგლისურია და მინიმუმ B1-ზე იღებენ, ამიტომ შესაძლებელია ინგლისურის მითითება, თუმცა საბჭოს წევრის კითხვა იყო, რომ სტუდენტს შეიძლება ცხოვრებაში არ ჰქონდა შეხება რუსულ ენასთან, საბჭო ამ შემთხვევაში ურჩევს, ხოლმე, რომ იმ ენაზე იყოს ლიტერატურა, რომელიც ისწავლება, ან დაშვების წინაპირობაა, ყოველთვის ჯობია, რადგან შესაძლებელია გარკვეულწილად უსამართლობის განცდას ჰქონდეს ადგილი.
რექტორმა განაცხადა, რომ თუ რჩევაში დატოვებენ, რომ არ იყოს რუსულენოვანი ლიტერატურა, სიამოვნებით მიუთითებენ ლექტორს.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რჩევაში აუცილებლად იქნება, რადგან თვითონ ყოველთვის მომხრეა, ვინაიდან სტუდენტებმა ძირითად შემთხვევაში არ იციან და აზრი არ აქვს.
სხდომის ხელმძღვანელმა მიმართა დამსწრე პირებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება ან კითხვის დასმა. მან განმარტა, რომ სხდომაზე არ არიან ერთმანეთის დასარწმუნებლად, არიან მხოლოდ პოზიციების წარმოსაჩენად და საბჭო უნდა დარწმუნდეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მათი პოზიცია ნათლად გამოხატა დასკვნაში, ხოლო საბჭოს წევრის შენიშვნა აბსოლუტურად მისაღებია მისთვის, მაგრამ აღნიშნული საკითხი არ მოხვდა შენიშვნებში/რეკომენდაციებში, რადგან მართლაც ძალიან ბევრი რეკომენდაცია იყო და აღნიშნულ სასწავლო კურსში არსებობდა ქართულენოვანი ლიტერატურაც, რომელიც ფარავდა კურსის შინაარსს, ვინაიდან ზედმეტად იყო რუსული ლიტერატურა ჩაწერილი, ექსპერტთა ჯგუფმა აღარ მიიჩნია საჭიროდ რეკომენდაციებში გააწერა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:07
დასრულების დრო: 17:44
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის I სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; აკრედიტაციის II სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 1
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
2.3. სასწავლო კურსი - საჭიროა გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი „მანქანათა ნაწილები“, სრულყოფილად გაიწეროს კურსის მიზანი, შეივსოს ძირითადი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით, სილაბუსის სალექციო თემატიკები და საათების განაწილება მოვიდეს შესაბამისობაში ასათვისებელი მასალის მოცულობის შესაბამისად (მაგ. „შესავალის“ შესწავლას დათმობილი აქვს 1 საათი, ასევე, „დაწებებით შეერთებას“ (რომელიც საერთოდ არ უნდა იყოს განხილული ამ სასწავლო კურსში) და ისეთ რთულ საკითხებს, როგორიცაა მე-11 ლექცია „ცილინდრული, კონუსური და ჭიახრახნული გადაცემები“, დათმობილი აქვს თითო საათი, რომლის ფარგლებში მითითებული საკითხების ათვისება არ არის შესაძლებელი;
2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - საჭიროა პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი იყო პრაქტიკის/სტაჟირების ფარგლებში მიღებული სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა;
2.5 ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული რუსულენოვანი წყაროები გადავიდეს დამხმარე ლიტერატურისთვის განკუთვნილ ველში.
რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

1.1. პროგრამის მიზნები - პროგრამის მიზნის ნაწილი „ავტომობილების და შიგაწვის ძრავების“ ცოდნის შესახებ სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და წარმოადგენს „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ (დეტალური სფეროს 0716) სწავლის სფეროს და საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის მიზნიდან;
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილი, რომელიც არის, ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების შესახებ, სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და მიეკუთვნება ,,ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ დეტალური სფეროს (0716), ამიტომ, ისინი საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის სწავლის შედეგებიდან;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული.

3. მესამე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№335 25.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ფიზიკაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული

10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0159, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რევაზ შანიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ ეს არ იყო მისი პირველი ვიზიტი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, მისი პირველი ვიზიტი იყო ავტორიზაციის და აკრედიტაციის მეორე ვიზიტი, მან განაცხადა, რომ ძალიან კარგი უნივერსიტეტია, პირველ რიგში ფიზიკის სკოლა, პირველად იყვნენ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციაზე, ამჟამად კი დაადგინეს საბაკალავრო პროგრამის სტანდარტების შესაბამისობა, დაკომპლექტებულია ძალიან მაღალი დონის პროფესორ-მასწავლებლებით და ჰყავთ ცოტა, მაგრამ მაღალი დონის სტუდენტები, ესენი არიან აბიტურიენტები, რომლებმაც მაღალი შედეგი აჩვენეს ეროვნულ გამოცდებში, შემდეგ სტუდენტებთან მიდის ინტენსიური მუშაობა, როგორც წესი ხდებიან წარმატებული კურსდამთავრებულები და უმეტესი მათგანი მიდის სამუშაოდ/სასწავლად უცხოეთში, ამ მხრივ უნივერსიტეტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული მიზნები მიღწეულია. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციებში გაწერა, მათთვის გაუგებარი პროცენტები და ქულები, რადგან იყო გაუგებრობა პროცენტებისა და ქულების შეფასების თვალსაზრისით, რაზეც თავისი აზრი დაწერეს და უნივერსიტეტმა საკუთარი აზრი დააფიქსირა არგუმენტირებულ პოზიციაში, თუმცა მისი მოსაზრებით ეს არ არის სერიოზული პრობლემა. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ძალიან მაღალი დონის ფიზიკის სკოლაა.
ფიზიკის სკოლის კოორდინატორმა, ზაზა ოსმანოვმა განაცხადა, რომ მისი სილაბუსია და განსხვავება გამოიწვია ინტერპრეტაციამ, რადგან 21% როდესაც ჩაიწერა სრული 100 ქულა (რომელიც სინამდვილეში 100%) იმის 21%, სადაც ლოგიკა არის, რომ თუ ჩაითვლება მხოლოდ შუალედურების ჯამური ქულის პროცენტი ეს არ არის სწორი, თუმცა რადგან ორაზროვნება გამოიწვია მისთვის არ არის პრობლემა ჩაემატება, ისე რომ არ იყოს ორაზროვნება, როცა ავტორი სილაბუსს წერდა, გულისხმობდა სრული 100 ქულის 21%-ს ანუ 21 ქულას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არ აქვს მეტი შენიშვნა და სრულიად უჭერს მხარს უნივერსიტეტს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ მეორე რეკომენდაცია „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების 5.2 სტანდარტში შეიცვალოს წინადადება ისე, რომ გამოჩნდეს აკრედიტაციის საჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობა“, რადგან მისთვის გაუგებარია აღნიშნული რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით ნიშნიანიძემ განაცხადა, რომ შესაძლებელია გაპარული იყოს შეცდომა, რადგან თვითშეფასებაში წერია: „თავისუფალი უნივერსიტეტი აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებსა და შენიშვნებს გაითვალისწინებს განხილვის შემდეგ“, საუბარია მხოლოდ ამ ფრაზაზე, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები სავალდებულოა ყოველგვარი განხილვის გარეშე შესასრულებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის მაინც გაუგებარია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია გაპარული იყოს შეცდომა, რადგან თვითშეფასებაში წერია: თავისუფალი უნივერსიტეტი აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებსა და შენიშვნებს გაითვალისწინებს განხილვის შემდეგ.
საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ როგორ უნდა ღებულობდეს რეკომენდაციებს დაწესებულება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ შეიძლება არა, აუცილებელია რეკომენდაციების გათვალისწინება.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს მას შემდეგ თუ საბჭო დატოვებს და ძალაში შევა გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
რექტორის, ვახტანგ ლეჟავას თქმით საუბარია იმაზე, რომ როდესაც რეკომენდაცია არის, არ არის ურთიერთგამომრიცხავი განხილვა და შესრულება, თვითშეფასებაში წერია: შეასრულებს განხილვის შემდეგ, შესაძლებელია არსებობდეს რეკომენდაციის შესრულების რამდენიმე გზა, გააჩნია რეკომენდაციას, რასაც სჭირდება განხილვა და შესაბამისი ფორმის მონახვა შესასრულებლად, განხილვა არ ნიშნავს, რომ არ უნდა შესრულდეს, არ არის ურთიერთგამომრიცხავი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს. მან განაცხადა, რომ გაეცნო პროგრამას და მართლა განსხვავებული/კარგი პროგრამაა. იგი დაინტერესდა, რატომ აირჩიეს კვალიფიკაციად „მეცნიერების ბაკალავრი“ და არა „ფიზიკის ბაკალავრი“, რა კომპონენტები, რა მეთოდები აძლევთ აღნიშნული კვალიფიკაციის მინიჭების საშუალებას.
პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ განაცხადა, რომ ეს პირდაპირ თარგმანიდან მოდის „Bachelor of Science in Physics“, აქედან წამოიღეს, შესაძლებელია არა კორექტული თარგმანია, მაგრამ ასე ითარგმნება.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო აძლევს ამის უფლებას, მიანიჭონ როგორც „მეცნიერების ბაკალავრის“ კვალიფიკაცია, ასევე „ფიზიკის ბაკალავრის“ კვალიფიკაციაც. საბჭოს წევრი დაინტერესდა, შინაარსობრივად, მეთოდებით და კომპონენტებით რა აძლევს დაწესებულებას ამის უფლებას, რითი გადიან „მეცნიერების ბაკალავრის“ კვალიფიკაციაზე.
ფიზიკის სკოლის დეკანი, ვაჟა ბერეჟიანი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ფიზიკის სკოლა ფაქტობრივად ძირფესვიანად არის მიმართული, რომ მათი სტუდენტები გამოვიდნენ მეცნიერები, ამისათვის პროგრამაში აქვთ საკითხები, რომლებსაც ძალიან მაღალ დონეზე ასწავლიან, ისეთ ძირითად საგნებს, რომლებიც მაგისტრატურას უკავშირდება, რადგან მათი სტუდენტები უნდა გამოვიდნენ მეცნიერები, ამასთანავე, თავიდანვე მოუწოდებენ რომ ჩართულები იყვნენ მეცნიერებაში და ლექტორებთან ერთად არიან ჩართულნი, მან აღნიშნა, რომ უკვე რვა სამეცნიერო ნაშრომია „impact“ ფაქტორის მქონდე

ჟურნალში გამოქვეყნებული, დაწესებულება ახალისებს მეცნიერებაში ჩართულობას, რომ მაღალ დონეზე იცოდნენ პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ყველა მეცნიერს სჭირდება, მეცნიერული კუთხით, ეს აძლევთ საშუალებას მიანიჭონ „მეცნიერების ბაკალავრი“, მაგ., ერთი საგანია „ფიზიკის მათემატიკური მეთოდები, მოდელირება, კომპიუტერული მეცნიერებები“, არსად არ არის ასეთი რაღაც, სტუდენტები კი სწავლობენ სხვადასხვანაირ კომპიუტერულ მეთოდებს, მაგრამ არის საგანი, რომელიც მაინცდამაინც ფიზიკის ამოცანების კომპიუტერულ მოდელირებას სწავლობს, ეს არ არის უბრალო ამოცანები, ეს არის ის ამოცანები, რომლებიც თანამედროვე მეცნიერებაშია, უკვე ზღვარზეა, რასაც თანამედროვე მეცნიერების პრობლემებია, სტუდენტები ამას უკვე სწავლობენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:58
დასრულების დრო: 18:05
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
1. სილაბუსებში შეფასების სისტემის მკაფიო ჩამოყალიბება დადგენილი ნორმების შესაბამისად;
2. უსდ–ს თვითშეფასების 5.2 სტანდარტში შეიცვალოს წინადადება ისე, რომ გამოჩნდეს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობა.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27 ^{2} მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№150 03.07.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 კრედიტი
11	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის ქ.№35, ბათუმი, კორპუსი 2, 6010, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ია ფანცულაია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა ძველი სტანდარტებით აკრედიტებული იყო 2012 წელს და შემდეგ განიცადა გარკვეული ცვლილებები, პროგრამის ხელმძღვანელები/შემქმნელები ეცადნენ პროგრამის მორგებას თანამედროვე სტანდარტებისთვის.

მთავარი ცვლილება შეეხო იმას, რომ დაამატეს საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, რომელიც განისაზღვრა 5 კრედიტით და ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ ამას ეხება, არის საბაკალავრო ნაშრომის კრიტერიუმები, გაწერილია მისი შეფასების წესი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა რეცენზენტი, რომელსაც 30 ქულის გაწერის უფლება აქვს კონკრეტულად რა კრიტერიუმებით უნდა ისარგებლოს/იხელმძღვანელოს. რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესში საჭიროა დეტალურად განსაზღვრული იყოს ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შეფასების და რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები.

ძირითადად პროგრამა შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან, გათვლილი იყო ყველა დეტალი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, თუმცა რეკომენდაციები ძირითადად შეეხება მეორე სტანდარტს, რეკომენდაციები არ არის ძალიან მკაცრი, მაგრამ გარკვეული, გასასწორებელი დეტალები იყო მითითებული, მაგ., სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურის განახლება, რაც ახსნილი იქნა, რომ იყენებენ დარგში არსებული ახალი ლიტერატურის „ჰენდაუთებს“, თუმცა არ იყო მითითებული, რომელ და ვის მიერ მომზადებულ „ჰენდაუთებზე“ იყო საუბარი.

2.6 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც ზეპირი გამოკითხვების კომპონენტებში მოცემულია მხოლოდ მაქსიმალური შეფასება, საჭიროა ასევე წარმოდგენილი იყოს შესაბამისი კრიტერიუმები, თუ რის მიხედვით უნდა მოხდეს კონკრეტული ქულით სტუდენტის შეფასება, თუმცა შემდეგში დაწესებულებასთან მიწერ-მოწერის შედეგად, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს მისწერა, რომ განახორციელეს გარკვეული ცვლილებები მათი რეკომენდაციების საფუძველზე.

მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამა არის ფარმაციის, ძირითადად გათვლილია და ერთადერთი პროგრამაა აჭარის რეგიონში, სადაც ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამის არსებობას, როგორც დამსაქმებლებთან შეხვედრისას გაირკვა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ პერსონალი, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არის საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტზე მომუშავე პერსონალი, მაგრამ ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი პროფილურ დისციპლინებში, სადაც უფრო მეტად ჩართულნი არიან მოწვეული სპეციალისტები და რეკომენდაცია იყო შემდეგი, რომ მოხდეს პროფილურ დისციპლინებში მოწვეულის ნაცვლად აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა.

მან განაცხადა, რომ შეფასება ჩატარდა დისტანციურად და დაფიქსირდა საუკეთესო პრაქტიკა, დაწესებულებას ელექტრონული სისტემა ჰქონდა საკმაოდ მოწესრიგებული, სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს ნახოს თავისი შეფასება და დააფიქსიროს თავისი მოსაზრება ნებისმიერ საკითხზე, არა მარტო კითხვარებითა და პერიოდულობით, როგორც სხვა უნივერსიტეტებში ხდება, არამედ სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს უკუკავშირი და კავშირი ჰქონდეს პედაგოგთან, სისტემა გართულებულია, ძალიან ბევრი ნიუანსები აქვს, მაგრამ ძალიან კარგი ელექტრონული მართვის სისტემა აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, სოფიო ბერიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს განმავითარებელი ვიზიტისა და მათ მიერ წარდგენილი რეკომენდაციებისათვის, რომელიც დაწესებულებას დაეხმარა გვერდიდან შეეხედათ განსახილველი პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსისთვის. დაწესებულები წარმომადგენლები მაქსიმალურად ეცადნენ მოკლე დროში გაეთვალისწინებინათ რეკომენდაციები და მათი უდიდესი ნაწილის შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია.

აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებულ რეკომენდაციას დაეთანხმა, მან განაცხადა, რომ ბევრი მიმართულებით დგას უნივერსიტეტებში აღნიშნული პრობლემა და არც აღნიშნული პროგრამაა გამონაკლისი, თუმცა ეს განსაზღვრა არა უნივერსიტეტის პოლიტიკამ, რომ არ ჰყავთ აკადემიური პერსონალი პროფილური მიმართულებით, არამედ თავად დარგში მომუშავე ადამიანების რესურსების არ არსებობამ, ონლაინ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, ბარიერი, რომ რეგიონში ეძებდნენ პროფილური აკადემიურ პერსონალს, აღმოფხვრილია და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ დაწესებულება აპირებს დაამატოს აკადემიური პერსონალი, რადგან პლატფორმა აძლევთ ამის საშუალებას და ფიქრობენ მომავალშიც მის გამოყენებას თუ რეგიონში არ ეყოლებათ პროფილური აკადემიური პერსონალი და სალექციო მასალას დისტანციურად აწარმოებენ.

მისი თქმით, აღნიშნა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, მათ შორის ერთ-ერთ დისციპლინაზე სილაბუსში მითითებული იყო არჩევით საგნად, ხოლო კურიკულუმში ძირითად კურსებშია, რისი დასტურიც დაწესებულებამ კიდევ ერთხელ გამოაგზავნა, ასევე, ერთ-ერთ საგანზე „კლინიკური უნარ-ჩვევა“, რომლის შინაარსი ეხებოდა პირველად სამედიცინო დახმარებას, პროგრამის განმახორციელებლებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ კლინიკური უნარ-ჩვევები ყველასთვის საჭირო იყო, მათ შორის ფარმაცევტისათვის, მაგრამ, რადგან სახელი რჩებოდა „კლინიკური უნარ-ჩვევა“ გადაწყვიტეს და გადაარქვეს სახელი დისციპლინას და დაარქვეს „პირველადი სამედიცინო დახმარება“ და აღარ დარჩა, როგორც ფარმაციის პროგრამის კლინიკური უნარ-ჩვევა, არამედ დაერქვა თავისი სახელი.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თეა ქოიავამ საბაკალავრო ნაშრომში კრიტერიუმების გაწერასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას აღნიშნული კრიტერიუმები გაწერილი აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია სტუდენტურ პორტალზე, ელექტრონული ჟურნალის ნაწილშიც იტვირთება და სტუდენტის გზამკვლევშიც, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
დეკანი, მარინა ქორიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის, რადგან დისტანციური ფორმატი უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს, რათა ობიექტურად შეფასდეს პროგრამა. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან, მათი მოსაზრებით მზად არიან პროგრამული აკრედიტაციისათვის და შესაბამისად წარდგენილია, დაწესებულების წარმომადგენლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ განახლდეს პროგრამები, დაიხვეწოს და მორგებული იყოს შრომის ბაზარზე, ეხმიანებოდეს განათლების ხარისხის თანამედროვე სტანდარტებს, დაწესებულების წარმომადგენლები შეეცადნენ განეახლებინათ პროგრამა, განახლდა ლიტერატურა, მეთოდები, გამოცდის კრიტერიუმები.
მან ყურადღება გაამახვილა ერთ-ერთ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება დამსაქმებლებთან მეტ კომუნიკაციას, განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა ამ თვალსაზრისით ლიდერია ფაკულტეტზე, რადგან მუდმივად ხდება კონტაქტი დამსაქმებლებთან და მათი არა მარტო კურსდამთავრებულები, არამედ სტუდენტების უმეტესობა დასაქმებულნი არიან სააფთიაქო ქსელში და გადიან სტაჟირებებს, დაწესებულებას მუდმივად აქვს ურთიერთობა დამსაქმებლებთან, ატარებენ ტრენინგებს, შეხვედრებს და სწორედ მათი რეკომენდაცია გაითვალისწინეს პროგრამის ხელმძღვანელებმა და გაზარდეს საკონტაქტო საათები სასწავლო პრაქტიკაში. დაწესებულება შეეცადა, რომ სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ გაცემული რეკომენდაციები აესახათ საგანმანათლებლო პროგრამაში.
რაც შეეხება, აკადემიური პერსონალის სიმცირესთან დაკავშირებულ საკითხს, მისი განცხადებით, ამ პროგრამის მიზანი თავიდანვე გახლდათ, რომ რეგიონში არსებული მცირე რესურსი იყო პერსონალის, რომელსაც ჰქონდა აკადემიური ხარისხი ამ მიმართულებით და რომლებიც პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომ დაიკავონ აკადემიური თანამდებობა უნივერსიტეტში, თუმცა მომზადდა პერსონალი და ონლაინ გამოცდილება აძლევთ საშუალებას ამ მიმართულებით იმუშავონ და აღმოფხვრან აღნიშნული რეკომენდაციის საკითხი, რადგან მათ ჰყავთ აკადემიური მიმართულებით კადრები, რომლებიც ფარმაციის დარგში არიან დასაქმებულნი და კითხულობენ სასწავლო კურსებს, მაგრამ ისინი აკადემიურ პერსონალად არ არიან გაფორმებულნი, წლების განმავლობაში მოღვაწეობენ, როგორც მოწვეული პერსონალი, თუმცა ახლა უკვე მიეცემათ საშუალება გამოასწორონ აღნიშნული პრობლემა.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ეთერ ჯაყელმა სალიტერატურო მასალებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საგნებში, რომლებშიც არ არის ქართული ლიტერატურა, ლექტორები თვითონ ამზადებენ „რიდერებს“ ელექტრონული სახით და სტუდენტებს უტვირთავენ პორტალზე, სადაც აქვთ მუდმივი წვდომა ელექტრონულ ჟურნალებში და აღნიშნულ „რიდერებს“ საგნის ხელმძღვანელები ამზადებენ არა ქართულენოვან წყაროებზე დაყრდნობით, თარგმნიან, იქ

სადაც არ არსებობს ქართულენოვანი წყაროები, შესაბამისად სტუდენტებს ამ მხრივ შეფერხება არ აქვთ.
დეკანმა, მარინა ქორიძემ განაცხადა, რომ ეს პრობლემა არამარტო მათ უნივერსიტეტში, არამედ აღნიშნული მიმართულებით ლიტერატურის სიმწირეს განიცდის ყველა ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც საქართველოში მოქმედებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ელექტრონული პორტალი, რომელიც არ შექმნილა მაშინ, როდესაც ამის საჭიროება დადგა დისტანციური სწავლების გამო, არამედ დიდიხნის წინ შეიქმნა და დაწესებულებას აძლევს საშუალებას მისივე რეგულაციების გათვალისწინებით შექმნილი ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის დისტანციურადაც, სტუდენტს მიეწოდება საუნივერსიტეტო ქსელიდან, ხოლო „რიდერს“ და სალექციო კურსს, რომელიც არის დაცული ლექტორის საავტორო უფლებით, მხოლოდ მას აქვს სტუდენტებისთვის მიწოდების უფლება, რომელიც ხორციელდება ელექტრონული პორტალის საშუალებით, სადაც სტუდენტს აქვს უამრავი ინფორმაციის მიღების, პედაგოგებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობის საშუალება, რომ მიიღოს დავალება და გადასცეს შესრულებული, ასევე ხდება რიდერებისა და სალექციო კურსების მიწოდებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გიორგი თურქია მიესალმა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ დაწერილ დასკვნაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომაა „სწავლების მეექვსე საფეხური“, რომელიც მისი მოსაზრებით არ არსებობს.
მან დასძინა, რომ არა მარტო აღნიშნულ დაწესებულებას, არამედ ყველა დაწესებულებას, რომელსაც წარდგენილი აქვს „ფარმაციის“ პროგრამა, აღნიშნა მისი მოსაზრებით, ეს არის ძველი დროის გამოძახილი, რადგან ისინი ვიწროდ უყურებენ თავის სპეციალობას, ამის თქმის უფლებას მას აძლევს მისი ცოდნა ფარმაციის სექტორთან დაკავშირებით, რა პრობლემებს აწყდებიან და ა.შ.
საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და გაიხსენა მის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ დაწესებულების ბევრი წარმომადგენელი მუშაობს სააფთიაქო ქსელში. მისი მოსაზრებით, სააფთიაქო ქსელი არის ყველაზე ქვედა საფეხური, პირველი საფეხური, სადაც განსახილველი პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა იმუშაოს, აქედან გამომდინარე მისი რჩევა იყო, რომ პროგრამა აწყობილი იყოს უფრო სისტემურად და უფრო გლობალურად უყურებდეს ფარმაციის პრობლემატიკას, დაწყებული ლოგისტიკიდან, რეგისტრაციები, რადგან პროგრამის კურსდამთავრებულმა მხოლოდ პროვიზორად არ უნდა იმუშაოს აფთიაქში, იგივე სახელმწიფო დიდ პრობლემას აწყდება ლოგისტიკის საკითხები, როგორ უნდა მოხდეს მედიკამენტების ლოგისტიკა, როგორი სტანდარტები უნდა დაიცვას და ა.შ. ამ ყველაფერს უნდა ასწავლიდეს უნივერსიტეტი.
მისი თქმით, პროგრამას აქვს ორი საგანი „ფარმაცევტული კომპანიის ორგანიზება“ და „მარკეტინგი“, მისი მოსაზრებით ასე მწირად არ უნდა უყურებდნენ, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს კვლევაზე, რადგან ფარამაცევტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კვლევაა და არსებობს კვლევის განსხვავებული ეტაპები. დღესდღეობით არცერთი კვლევა არ მიმდინარეობს ფარმაცევტების გარეშე, კლინიკური კვლევა იქნება თუ შემდგომი, სტუდენტს უნდა ესაუბრებოდნენ ამ ნაწილზეც, სად შეიძლება დასაქმდნენ ისინი, რაც საბჭოს წევრის მოსაზრებით ძალიან მნიშვნელოვანია და თავიდანვე, ბაკალავრიატში უნდა ჩამოუყალიბონ სისტემური ხედვა აღნიშნულ პროფესიაზე, რომ ადამიანი გახდეს კონკურენტუნარიანი და მოემზადოს შემდგომი განვითარებისთვის, ეს იქნება მაგისტრატურა თუ სხვა მიმართულებები. საბჭოს წევრს ყოველთვის წყდება გული აღნიშნულ საკითხზე, რადგან დაწესებულებები ყოველთვის განიხილავენ, რომ სტუდენტი წავა და იმუშავებს აფთიაქში. მისი მოსაზრებით, მხოლოდ აფთიაქისთვის ეცოდება ამ ადამიანების ჰორიზონტი, რადგან შესაძლებელია იმუშაონ ბევრი მიმართულებით, პროგრამა უფრო მეტად თანამედროვე უნდა იყოს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური ეფექტიანობის

შეფასება, მედიკამენტების გამოყენების თვალსაზრისით, თუ რა ეფექტს აძლევს ესა თუ ის მედიკამენტი, ცოტა სხვა კუთხით უნდა გატარდეს აზროვნებაში, ეს არ არის საყვედური მისი მხრიდან, ურჩევს იფიქრონ, რათა პროგრამა იყოს უფრო თანამედროვე და კონკურენტუნარიანი.
დეკანმა, მარინა ქორიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა ნამდვილად არ გულისხმობს მხოლოდ სააფთიაქო ქსელში მუშაობას.
საბჭოს წევრი, გიორგი თურქიამ განმარტა, რომ ამას არ ამბობდა, დაწესებულების წარმომადგენლებმა თქვეს, რომ მუშაობდნენ სააფთიაქო ქსელებში.
დეკანმა, მარინა ქორიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტები გადიან პრაქტიკას მცირე და დიდ საწარმოებში, სადაც არის პრაქტიკის გავლის საშუალება/არსებობს რეგიონში.
საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ეს არ იყო საყვედური მისი მხრიდან.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სოფიო ბერიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა თავი იმართლეს, რადგან ნაკლებად ფარმაცევტები ჰყავთ და მეტად სხვა აკადემიური პირები, მათ შორის კურკულუმშია „მარკეტინგიც“, „ფარმაკოეკონომიკაც“, იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ინტერდისციპლინური საკითხია და პირიქით, დაწესებულებამ უნდა ასწავლოს სისტემური მიდგომა, რომ შემდეგ „ბრძოლის ველზე“ მხოლოდ ფარმაცევტად არ იყოს და იფიქროს რაციონალურ ფარმაკოთერაპიაზე/ფარმაკოეკონომიკაზე და ის პრობლემები, რაც არსებობს წავიდეს აღმოფხვრისკენ. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა საბჭოს წევრს მადლობა შენიშვნისთვის და განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების ხედვა თავიდანვე მოიაზრებდა ინტერდისციპლინური ყოფილიყო და ბევრ სხვა სპეციალობას, რომელიც ამ დარგის ფუნდამენტს წარმოადგენს ჩართულიყო, თუმცა მისაღებია და ეცდებიან გაამრავალფეროვნონ, მაგ., ეკონომიკის კუთხით.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დასძინა, რომ ფარმაციაში ძალიან მნიშვნელოვანია კვლევები.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სოფიო ბერიძემ აღნიშნა, რომ მათი ხედვა ემთხვევა ერთმანეთს და დაწესებულება ცდილობს ამ ხაზის გატარებას, რადგან არ იყოს გათვლილი ვიწრო სპეციალობაზე, იყოს უფრო სისტემური მიდგომით.
საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ განაცხადა, რომ იცნობს აღნიშნულ უნივერისტეტსა და ფაკულტეტს, რომლებიც არიან წარმატებულნი თავის საქმეში. მან მიმართა საბჭოს წევრს, გიორგი თურქიას და განაცხადა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსში წარდგენილია კვლევითი კომპონენტი, თუმცა არა ისეთი მსხვილი ხედვით, როგორც საბჭოს წევრმა იგულისხმა, არამედ იმ სასწავლო კურსის ფარგლებში, მაგ., „ბუნებრივი ნედლეულის კვლევის საფუძვლები“ მიზანში წერია, რომ წარმოადგენს სამკურნალო ბუნებრივი ნედლეულის იგივეობისა და კეთილხარისხოვნების დადგენის მეთოდების დაუფლებას, პროგრამა მდიდარია პრაქტიკული კომპონენტებითაც თეორიულ საგნებში, თუმცა ის, რომ წერია მიზანში და ასახულია შედეგებში მაინცდამაინც შეფასებით არ დასტურდება, რომელიც არის უფრო ზოგადი და თეორიული, ამიტომ მისი რჩევაა, რომ ასეთ საგნებში, სადაც კვლევითი ან პრაქტიკული კომპონენტია, როგორც მიზანში, ასევე შედეგში და ბუნებრივია, რომ შედეგზე უნდა გავიდეს მიზანთან კავშირში, სტუდენტს უნდა შეუფასდეს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაზეც უნდა გავიდეს, ეს ეხება არა მხოლოდ კვლევას, არამედ მაგ., კლინიკურ ფარმაციას. მან განმარტა, რომ ძალიან კარგია ინტერდისციპლინარობა, პროგრამა ნამდვილად არის ასეთი, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ პროგრამის ხელმძღვანელად ფარმაცევტის გარდა არის სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი, რაც იგრძნობა პროგრამის აგებაშიც, კლინიკური ფარმაცია არის პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი და გულისხმობს პაციენტთან ურთიერთობას, ექიმთან ერთად რაციონალური ფარმაკოთერაპია უნდა განახორციელოს, ეფექტური, უსაფრთხო წამალი უნდა შეარჩიოს, მისი მოსაზრებით გარკვეულწილად მოითხოვს კლინიკასთან, პაციენტთან ურთიერთობას, თუ განმახორციელებელი არ არის ექიმი, შესაბამისად სილაბუსიდან არ იკითხება, რომ კლინიკასთან ან პაციენტთან ურთიერთობა აქვს, მან დაწესებულებას ურჩია, რომ იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც ბაკალავრს უნდა ჰქონდეს,

რაღაცნაირად მოხდეს ბმა კლინიკასთან ან ექიმის კომპეტენციასთან, რაც აისახება სწავლებას, მეთოდების გამოყენებასა და შეფასებაშიც.
საბჭოს წევრის თქმით, დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა „კლინიკური უნარ-ჩვევები“, რომელსაც გადაარქვეს სახელი და დაარქვეს „პირველადი სამედიცინო დახმარება“ კურსის შინაარსიდან გამომდინარე, რაღაცნაირად ეს არის მოდიფიცირებული მედიცინის ფაკულტეტის სილაბუსი, სადაც შეფასებაში წერია, რომ შეფასება ხდება კლინიკურ აზროვნებაზე და თუ ეს არის პირველადი დახმარების უნარ-ჩვევები, რაც მოიცავს ექიმამდელ დახმარებას, იგივე რჩევის გათვალისწინება არის აქაც საჭირო, რომ ექიმამდენი დახმარების უნარ-ჩვევები ისწავლებოდეს და ფასდებოდეს, რადგან შეფასებაში არის სიტუაციების გააზრების უნარი, მსჯელობის უნარი და დასკვნის უნარი, მაგრამ როგორ დაადოს ნახვევი, შეაჩეროს სისხლდენა და ა.შ., რაც რეალურად უნდა იყოს აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანი, იმისათვის, რომ ნებისმიერმა ფარმაცევტმა იცოდეს ექიმამდელი დახმარება, ეს უნდა იყოს მიღწეული და ამიტომ გადაარქვეს სახელიც, მისი მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსი ზუსტად ეს არის, აცდენილია შეფასება.
საბჭოს წევრმა ხაზგასმით დაადასტურა მისი პატივისცემა დაწესებულების მიმართ, ის რომ აღნიშნული პროგრამა არსებობს რეგიონში და უნდა მისთვის მისასალმებელია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ეთერ ჯაყელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რჩევებისათვის. შეფასების ფორმებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მაგ., ბუნებრივი ნედლეულის კვლევის მეთოდები, კვლევითი ხასიათის ახალი საგანი შემოიტანეს მიმდინარე წელს, სადაც შეფასების ერთ-ერთი ფორმა არის პრეზენტაცია, სტუდენტი პრეზენტაციაში წარმოაჩენს მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებსა და მეთოდებს, სადაც ჩანს საკითხის ცოდნა, მეთოდების ათვისება და ა.შ. პრეზენტაციით ის დადებს კვლევის შედეგებს შეფასებისთვის, დანარჩენი შეფასებები ზეპირი/წერითი, კიდევ უფრო დაიხვეწება საბჭოს წევრის რჩევების შესაბამისად.
პროგრამის ხელმძღვანელი გამოეხმაურა საბჭოს წევრის, გიორგი თურქიას პოზიციას. მან განაცხადა, რომ ძალიან გასათვალისწინებელი რჩევა იყო და ამ მიზნით ახალ პროგრამაში ბევრი ცვლილება განახორციელეს, სტუდენტებს გაწერილი აქვთ პრაქტიკა ისეთ საგნებში, როგორებიცაა „ფარმაცევტული დახმარება“, „ფარმაცევტული ტექნოლოგიები“ და „ფარმაცევტული საწარმო“, გარდა ამისა, რეგიონში არის ფარმაცევტული ქარხანა, რომელსაც საკმაოდ დიდიხნის ისტორია აქვს, მას ქვია „ბიოპოლუსი“, რომლის ხელმძღვანელობა დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვს და მათი რეკომენდაციის მიხედვით შეიტანეს სასწავლო კურსი „პრაქტიკა ფარმაცევტულ საწარმოში“ განსახილველ პროგრამაში, რომლის დახმარებითაც ქარხანა ეცნობა სტუდენტების დონეს და პირადად იცნობენ სტუდენტებს, რომლებიც თავის მხრივ სწავლობენ ქარხანაში მიმდინარე პროცესებს და იცნობენ ხელმძღვანელობას/თანამშრომლებს, რაც გარკვეულწილად მათი დასაქმების ერთ-ერთი წინაპირობაა.
მან აღნიშნა, რომ ყველა გაჟღერებული რჩევა არის გასათვალისწინებელი და წაადგება პროგრამას.
დეკანმა, მარინა ქორიძემ განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში, ფაკულტეტზე დაწესებულებას აქვს ფარმაკოგნოზიის ლაბორატორია, სადაც სტუდენტს აქვს საშუალება ამ მიმართულებითაც დაეუფლოს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს/კვლევის მეთოდებს და თვითონ საბაკალავრო პროგრამა მთავრდება საბაკალავრო ნაშრომით, რომელიც გულისხმობს იმ დონის კვლევას, რომელიც გათვალისწინებულია საბაკალავრო დონეზე და იმ უნარ-ჩვევებზე, რაც კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს, რათა სწავლა გააგრძელოს შემდეგ საფეხურზე.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათთვის ცნობილია ევრო გაერთიანებაში „ფარმაცია“ რეგულირებადი პროფესიაა, აბსოლუტურად ზუსტად არის გამიჯნული კომპეტენციები და მალე საქართველოსაც მოუწევს მკაცრად გაწეროს, რაც გააადვილებს პროგრამის შედგენა/შემუშავებას და მანდ არის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც საბჭოს სხვა წევრებიც შეეხნენ, ეს არის ფარმაცევტი, მისი

კომპეტენციები; ფარმაკოლოგი - კლინიკური ფარმაკოლოგი, რომელთა შტატი ყოველ დეპარტამენტშია, COVID -19-ის პანდემიის დროს მკაფიოდ გამოჩნდა პრობლემები, ძირითადი ბრძოლა გამართულია აღნიშნულ საკითხზე.
პროგრამის ხელმძღვანელი, სოფიო ბერიძე დაეთანხმა საბჭოს წევრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ დასძინა, რომ საჭიროა ფარმაცევტიც, კლინიკური ფარმაკოლოგიც და ექიმიც, ამასთანავე ყველა მათგანის კომპეტენცია არის გასამიჯნი/ზუსტად გასაწერი, რადგან ადამიანთა სიცოცხლე მათზეა დამოკიდებული, სწორედ ამიტომ არის რეგულირებული, ეს ვერ დაიწყება მხოლოდ ერთ პროგრამაზე, იმდენად საჭირო საქმეა ერთ-ერთი კომპონენტი უნდა იყოს სიტუაციისა საქართველოში არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად.
მან აღნიშნა, რომ ეთანხმება გამომსვლელებს, მათ შორის საბჭოს წევრს, ეკა ეკალაძესაც, მაგრამ მისი სურვილია დაანახოს პრობლემა, რადგან მაშინ, როდესაც კლინიკური ფარმაკოლოგი ყოველდღე უნდა თანამშრომლობდეს ექიმთან შეუძლებელია, პანდემიურ ვითარებაში ამხელა ინფორმაციის თავში დაჭერა, შესაძლებელია ზოგჯერ ლეტალური ურთიერთქმედების მქონე წამლები იქნას გამოყენებული და საკითხავია ამ დროს ფარმაცევტს უნდა დაბრალდეს, თუ კლინიკურ ფარმაკოლოგს, რომელიც არ ჰყავს კლინიკებს. მან განმარტა, რომ ფარმაცევტს არ უნდა მოვკითხოთ, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ რგოლს, რომელიც არ ყავთ კლინიკებს.
საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ აღნიშნა, რომ დაიწყო, მასთან, სამაგისტრო პროგრამაზე იყო პირველი გამოშვება კლინიკური ფარმაკოლოგების.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ დაადასტურა და განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია, თუმცა ქვეყანაში, დეპარტამენტებში არ არის, კლინიცისტებს არ უდგანან გვერდით კლინიკური ფარმაკოლოგები.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია კვიჟინაძემ შეეასწორა, რომ საბჭოს წევრს უნდა ეთქვა კლინიკური ფარმაცევტი და არა კლინიკური ფარმაკოლოგი.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განმარტა, რომ თარგმანში ეს არ არის კლინიკური ფარმაცევტი და არის კლინიკური ფარმაკოლოგი, რომელიც საერთოდ სპეციალობადაც კი არ არის საქართველოში, კლინიკურ ფარმაცევტს აქვს თავისი კომპეტენცია: წამლების ძიება, კვლევა, ფაზების გავლა, როგორ მოამზადოს, ფარმაკოგნოზია და ა.შ.
პროგრამის ხელმძღვანელი, სოფიო ბერიძე დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ საქართველოში სპეციალისტები არ არიან.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ მას სურდა საბჭოს წევრების გასაგონად ეთქვა და ეჩვენებინა რეალობა, რამდენი გამოწვევის წინაშე დგანან, რადგან ეს რეგულირებადი პროფესიებია და ყველა გასაწერი, კომპეტენციები, გზამკვლევი გასაკეთებელი და მაშინ შეეძლებათ უნიფიცირებულად ჰქონდეთ გზამკვლევი, რეგიონი იქნება თუ თბილისი და შემდეგ დახვეწონ პროგრამები.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სოფიო ბერიძემ მადლობა გადაუხადა ღირებული რეკომენდაციისთვის, რომელიც არა მხოლოდ მათ პროგრამას, არამედ ქვეყნის მასშტაბით, სისტემური პრობლემაა, აღნიშნული დაწესების წარმომადგენლები ეცადნენ, რომ გარკვეული, აბსოლუტურად განყენებული დარგებია თავისი კომპეტენციებით, მათ შორის უნდა ყოფილიყო ინტეგრირება და ამიტომ „კლინიკურია“ ნახსენები, რადგან ფარმაცევტს გარკვეულ ეტაპზე უწევს კლინიკური მსჯელობა თუნდაც არა სარეცეპტო OTC-ის მედიკამენტებზე.
საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ დასძინა, რომ ამას თავისი OSCE-ს მსგავსი შეფასება აქვს.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ზუსტად ამას ამბობდა. თუნდაც ის კლინიკური უნარ-ჩვევა, „პირველადი სამედიცინო დახმარება“ უფრო მეტად კლინიკურად უნდა იცოდეს ფარმაცევტმა ვიდრე იურისტმა, რომელმაც ასევე უნდა იცოდეს პრეჰოსპიტაური/ექიმამდელი სამედიცინო დახმარება და სწორედ ამაზე სურდათ გაესვათ ხაზი, რომ გარკვეულწილად ინტეგრირება მოეხდინათ ისევე, როგორც, მაგ., კლინიკურ ფარმაციაში უწევთ, რომ რესურსს

მოარგონ საგანი, რადგან კლინიკურ ფარმაციაში საგანს ფარმაცევტი ასწავლის, რაც სიმართლეა, ის ფარმაცევტი მუშაობს დიდ ჰოსპიტალში, ხელმძღვანელობს დიდ ჰოსპიტალურ აფთიაქს და დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით მას ყველაზე კარგად შეუძლია ასწავლოს ფარმაცევტული განაწილება, ცენტრალიზებული, უშუალოდ კლინიკაში როგორ მიდის მედიკამენტი პაციენტამდე და ამიტომ, სამომავლოდ თუ გაიმიჯნება და დაწესებულებას ექნება ფუფუნება ყველა მიმართულებას თავისი სპეციალისტი ჰყავდეს თავისი კომპეტენციით ყველაზე კარგი იქნება, მაგრამ ამ ეტაპზე დაწესებულებას უწევს მოარგოს იმ რეალობას, რომელშიც იმყოფებიან, რა რესურსი აქვთ იმის მიხედვით განახორციელონ პროგრამა, მთავარია აღნიშნული რესურსი გაიზარდოს სამომავლოდ, რადგან თუ არ იქნება რეგიონში ფარმაცევტები და ამ ეტაპზე უკვე დეფიციტია, არც ისინი ეყოლებათ, რომლებიც ფარმაცევტებისაგან სხვა ვიწრო სპეციალობაში უნდა წავიდნენ. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საკმაოდ ღირებული რჩევები გაიცა და მისი მოსაზრებით კლინიკური ფარმაკოლოგია მათი ყველაზე დიდი ტკივილია და იმას, რასაც განიხილავენ სოციალურ ქსელსა თუ ღია ეთერში უნდა წყდებოდეს კონკრეტულ კლინიკებში, კონკრეტული ადამიანის მიერ, ყველა თანამედროვე სისტემას აქვს წამალთა შორის ურთიერთქმედების აპლიკაცია, რომელიც უნდა იყოს ადამიანი და ემსახურებოდეს მხოლოდ ამას, რომ ექიმს არ გამოეპაროს სხვა კლინიკური საკითხები. თუ იქნება სამომავლოდ აღნიშნული საკითხი იგი სიამოვნებით ჩაერთვება, რადგან კლინიკურ ფარმაკოლოგიასაც ასწავლის და ფიქრობს, რომ ეს მართლაც ღირებული დარგია მედიცინისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:46
დასრულების დრო: 18:51
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
1. სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურის განახლება; • ზოგიერთ დისციპლინაში სილაბუსის სათაურსა და შინაარს (თემატიკას) შორის მეტი შესაბამისობა;
2. სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც ზეპირი გამოკითხვების კომპონენტებში მოცემულია მხოლოდ მაქსიმალური შეფასება, საჭიროა ასევე წარმოდგენილი იყოს შესაბამისი კრიტერიუმები, თუ რის მიხედვით უნდა მოხდეს კონკრეტული ქულით სტუდენტის შეფასება;
3. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესში საჭიროა დეტალურად განსაზღვრული იყოს ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შეფასების და რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები;
4. პროფილურ დისციპლინებში მოწვეულის ნაცვლად აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა
5. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე გაძლიერდეს ლოგისტიკის, მენეჯმენტისა და ეკონომიკის სწავლება და განახლდეს ლიტერატურა, განსაკუთრებით მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულების საგნებში;
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის

პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:53 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა